საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 22
(11 888)

25 – 28 მარტი, 2005 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაცია** დღეს, 25 მარტს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ატარებს ამავე ფედერაციის საარჩევნო ყრილობას. დასაწყისი 14 საათზე.

◆ **საქართველოს ფრენბურთის** ფედერაციამ გადაწყვიტა შექმნას რეგიონალური ფედერაციები. თბილისში ასეთი ფედერაცია ამ დღეებში დაფუძნდა. პრეზიდენტად აირჩიეს ტელეჟურნალისტი **თეა სუხიშვილი.**

◆ **საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციიდან** გვაცნობეს, რომ საერთაშორისო ფედერაციის მიწვევით ქაიროში რაპირით ფარიკაობაში მსოფლიო თასის ტურნირზე სამსაჯოდაა მიწვეული თბილისელი **დავით სახვაძე**, ქაიროდან იგი ავსტრიის ლინცში იუნიორთა მსოფლიო პირველობას იმსაჯებს.

უსახსრობის გამო ავსტრიაში საქართველოდან მხოლოდ ერთი მოფარიკავე გაემგზავრა — საკუთარი ხარჯით.

მილოცვა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ამავე აკადემიის ხანდაზმულ მუშაკს, ვეტერან მძლეოსანს, აკადემიის სპორტკლუბის თავმჯდომარეს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ჰამლეტ ათაბეგოვს.**

* * *

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს სტუდენტური სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტკლუბის თავმჯდომარეს **ჰამლეტ ათაბეგოვს.**

* * *

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე აკადემიის ფ/კ მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრის მასწავლებელს, საქართველოს სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელს და საინვალიდო სპორტის ორგანიზატორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **თემურ მიქიაშვილს.**

* * *

„ლელო" უერთდება ამ მილოცვებს.

დაჯილდოება

საქართველოში სტუდენტთა სპორტის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის და დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული კლუბის თავმჯდომარე **ჰამლეტ ათაბეგოვი** დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

ზოგიერთი მოსაზრებები „უმაღლესი განათლების" კანონის შესახებ

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის ბოლოს მიიღო კანონი „უმაღლესი განათლების" შესახებ, რომელიც იმავე წლის 21 დეკემბრიდან შევიდა ძალაში.

უკანასკნელ ხანებში, როდესაც დაიწყო კანონიდან გამომდინარე რეფორმების განხორციელება, გაჩნდა უამრავი კითხვები და მავანთ მიეცათ შესაძლებლობა თავისებური ინტერპრეტაციებით გამოეთქვათ ურთიერთგამომრიცხავი აზრები. კერძოდ, რამდენიმეჯერ გაჟღერდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად 72 წლის პროფესორ დ. ჩიტაშვილის დანიშვნის კანონიერების შესახებ. პირადად მე ვთვლი, რომ იგი კანონიერია, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად — „რექტორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე" და აქედან გამომდინარე, 90-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, აკადემიურ თანამდებობაზე გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვა უნდა ამოქმედდეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრს არგუმენტად მოჰყავს ამ კანონის მე-40 მუხლი, სადაც დაფიქსირებულია, რომ — 1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები და 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი. ჩემი აზრით, ამ მე-40 მუხლში არ უნდა ჩაწერილიყო რექტორი, როგორც ადმინისტრაციული თანამდებობა, რადგან 22-ე მუხლში გარკვევით წერია, რომ რექტორი არის უმაღლესი აკადემიური თანამდებობა. თუ დასკვნით დებულებებში სხვა მუხლებთან ერთად შევიტანდით 22-ე მუხლის I პუნქტსაც, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა და არავის მიეცემოდა საშუალება ეწერა ან გამოეთქვა თავისი აზრი აღნიშნულ კანონებთან მიმართებაში.

გურამ ძაგანია,
სპორტის აკადემიის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი.

კოკაი მარტის ბაშოზე

„ლელოს" წინა ნომერში როგორც ვწერდით, სუმოს ქართველი ოსტატი **ლევან ცაგურია** (კოკაი), რომელიც იაპონიაში ცხოვრობს და ასპარეზობს, მარტის ბაშოზე ერთხანს ხუთი მოგებით ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ორი წაგებული ჰქონდა ზედიზედ, რასაც კიდევ ამდენივე მარცხი დაემატა და მდგომარეობა გაიუარესა. რიგით მეცხრე პაექრობა ჩვენებურმა ლიდერთან, მონღოლ იოკოძუნა **ასაშორიუსთან** წააგო, მეათე — აღმოსავლეთის ოძეკი **ჩიოტაკაისთან.** მეთერთმეტე შეხვედრაში კოკაიმ წარმატებით იასპარეზა და დასავლეთის ოძეკი **კაიო** სძლია, რითაც კვლავ გაიუმჯობესა პოზიცია.

მეთორმეტე ორთაბრძოლა ლევან ცაგურიას კომუსუბი **კოტუშუსთან** აქვს, რომელიც აუტსაიდერთა შორისაა (11-დან 3 მოგება). ლიდერი კვლავ იოკოძუნა ასაშორიუა, რომელიც წინ დაუმარცხებლად მიიწევს.

გამოიწერეთ
2005 წლის
მეორე კვარტლიდან!

ნომერშია:

- ისტორია: ბერძენი სპორტსმენები საქართველოში
- დიდი ფეხბურთის მოლოდინში...

DEUTSCHLAND
2006

- სტალინის ნაჩუქარი საათი ჯეჯელავას პანაშვიდზე „დაუბრუნეს"
- კალაძის თანაგუნდელებს ედავებიან...

- ბობი ფიშერი გაათავისუფლეს
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

მოსკოვიდან ორი მედლით

საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა მოსკოვში შულცის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში სრული შემადგენლობით იასპარეზა. როგორც ყოველთვის, ტურნირზე ამჯერადაც სამბოს მიმდევარი ქვეყნები თავიანთი უძლიერესი სპორტსმენებით წარსდგნენ.

გუშინ ასპარეზობის დასრულების შემდეგ მივიღეთ ინფორმაცია მოსკოვიდან. საქართველოს წარმომადგენლებს ბრინჯაოს ორი მედალი ხვდათ წილად. ესენია: საგარეჯოელი უშანგი კუზანაშვილი (57 კგ) და ცნობილი ფალავანი მცხეთის რაიონის სოფ. ძალისიდან მირიან პავლიაშვილი (100).

თუ თანადგომაა, მაღალი შედეგებიც იქნება



აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციაში დიდი ხანი არაა, რაც ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. ფედერაციის პრეზიდენტად წლეულს, 11 მარტს გამართულ ყრილობაზე დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს **კახაბერ მიქელაძე** — აჭარის პარლამენტის დეპუტატი. მისი რეკომენდაციით ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ტოტალიზატორ „ევრობეთის" მეპატრონემ **მალხაზ დუმბაძემ.** არჩევანმა გაამართლა. აჭარელი მშვილდოსნები დიდად ემადლიერებიან ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას.

მალხაზ დუმბაძემ წლეულს მთლიანად დააფინანსა აჭარის მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატი, ერევნის საერთაშორისო ტურნირზე მიავლინა 8 სპორტსმენი და 2 მწვრთნელი, საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის კი მთლიანად გაიღო აჭარის მეორე გუნდის ხარჯები.

— „ასეთი ყურადღება ადრე არასოდეს გვქონია, დიდი მადლობა აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს გამუდმებული ყურადღებისა და თანადგომისთვის. იმედია, ასეც გაგრძელდება, რასაც ჩვენი მხრიდან ახალი სპორტული მიღწევებით ვუპასუხებთ" — თქვა საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა და აჭარის მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **თამაზ ფუტკარაძემ.**

რეფორმა დაიწყო...

გარდაქმნის სტიმულს თბილისის სპორტის სამსახური იძლევა

ქართულ სპორტში რევოლუცია მზადდება და „აფეთქება" თბილისიდან იწყება. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური და მისი თავკაცი გიორგი უდესიანი ამ პოსტზე მოსვლის პირველი დღიდან სიახლეების გამუდმებულ ძიებაშია. პრინციპი მარტივიდან — რთულისკენ ეჭვში შედის, რაც მოგვარდა, მოგვარდა, წვრილმანები უკან დარჩა, ახლა გლობალური გარდაქმნების დრო დადგება და ამ საქმეში სპორტის საქალაქო სამსახურმა დედაქალაქის საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები ჩართო.

გუშინწინ უჩვეულო, დიახ, უჩვეულო ფაქტის მოწმე გავხდით — თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ ზედიზედ ორი ზემნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. ერთი მათგანი თბილისში ბავშვთა სპორტის სტრუქტურული სრულყოფისა და ქართული სპორტის რეზერვის მომზადებაში ერთიანი, კოორდინირებული საქმიანობისთვის საფუძვლების შექმნას ეხებოდა. როგორც თავის მოხსენებაში გ. უდესიანმა აღნიშნა: „ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე ძალზე დაგვიანდა რეფორმების გატარება სპორტის სფეროში, კერძოდ, სპორტული რეზერვების მომზადების სისტემის სრულყოფის საკითხებში".

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე დიდი ხანია მიდის მსჯელობა, საკითხი რამდენიმეჯერ განხილულ იქნა როგორც სამთავრობო, ისე სხვა დონეზეც, მაგრამ რეალური ნაბიჯები ამ მიმართებით არ გაკეთებულა.

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა, ქალაქის საკრებულოს სპორტის დარგობრივ კომისიასთან და მიწვეულ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა თბილისში სპორტული რეზერვის მზადების და მოსახლეობის გაჯანსაღების ერთიანი მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნეს გამოყენებული ქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი რესურსის (მწვრთნელთა კადრების) შესაძლებლობები, მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით მომავალი თაობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, მასობრივ-სპორტულ მოძრაობაში და აქტიურ სპორტში ჩასაბმელად.

აღნიშნული მოდელის მიხედვით სპორტის დარგში ძირითად ადგილს დაიკავებენ სპორტული ცენტრები. ცენტრები სამი ტიპის იქნება:

1. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი;
2. სპორტის სახეობათა სპეციალიზებული ცენტრი;
3. ოლიმპიური მზადების ცენტრი.

აღნიშნული ცენტრები იქნება არსებულ სასპორტო სკოლების ბაზებზე და არ იწვევს დამატებით ფინანსურ ხარჯებს. ცენტრებსა და სასპორტო სკოლებს შორის არის არა მარტო დასახელებაში სხვაობა, ისინი შინაარსობრივად განსხვავდებიან. ამჟამად მოქმედი სასპორტო სკოლები წარმოადგენენ სკოლისგარეშე დაწესებულებებს და მათი ფუნქციაა სკოლის ასაკის ახალგაზრდა თაობის აღზრდა-დაოსტატება. სპორტული ცენტრი მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენის ჩაბმას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროცესში, რაც ქალაქის სპორტის საქალაქო სამსახურის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპორტული ცენტრების ფუნქცია უფრო ფართოა და მნიშვნელოვანი, რაც ზუსტად შეესაბამება სპორტის საქალაქო სამსახურის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები იფუნქციონირებენ გეოგრაფიული პრინციპით და იქნებიან ქალაქის ყველა რაიონში. მათი ძირითადი ამოცანა იქნება უბნის (რაიონის) მოსახლეობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ, მასობრივ სპორტში, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ჩაბმა სპორტული მომზადების საწყის ეტაპებზე. ამასთან, ცენტრები შეასრულებენ მაკოორდინირებელ ფუნქციას უბანში (რაიონში) მდებარე სასწავლო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციებისათვის. ხელს შეუწყობს მათ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, სპორტული ღონისძიებების ჩატარებაში და ა.შ.

სპორტის სახეობათა მიხედვით სპეციალიზებული ცენტრები იქმნება არსებული სპეციალიზებული სასპორტო სკოლების ბაზაზე. ამ სახის ცენტრებში ჩაირიცხებიან განსაკუთრებით სპორტული ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული ბავშვები და მოზარდები, რომლებიც ჩაებმებიან სპორტული სპეციალიზაციის პროცესში. ამასთან, ამ ცენტრებში შეიძლება ჩაირიცხოს ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელსაც ექნება სპორტის შესაბამის სახეობაში ჩაბმის სურვილი, მიუხედავად მისი სპორტული კვალიფიკაციისა. მათთვის იქმნება ე.წ. გამაჯანსაღებელი ჯგუფები, სექციები, შესაძლოა ფასიანიც. ამასთან, ამ ეტაპის ცენტრები დაეხმარება ინვალიდთა და სხვა ტიპის ჯანმრთელობაშეზღუდულ ადამიანებს. ვეტერანები ისარგებლებენ სპორტული ბაზებით. ცენტრებში ასაკი არ იქნება შეზღუდული სასკოლო პერიოდით. ცენტრები სპორტის სახეობათა საქალაქო და ქვეყნის ფედერაციებთან ერთად იქნებიან პასუხისმგებელი დედაქალაქში სპორტული რეზერვების და სხვადასხვა ასაკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებასა და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობაზე.

ოლიმპიური მზადების ცენტრების ძირითადი ფუნქცია არის ქალაქის და ქვეყნის ნაკრები გუნდების სპორტის პრიორიტეტულ სახეობებში ნაკრების, უახლოესი და ოლიმპიური რეზერვის შერჩევა და მომზადება. აღნიშნული ცენტრები თავისი ბაზით უზრუნველყოფენ მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას სამჯერადი ვარჯიშებით, კვებით, საძინებლით და სხვა პირობებით. ამასთან, აქ შესაძლებელია ფასიანი ჯგუფების და სექციების ფუნქციონირება და სხვა მასობრივი სპორტული საქმიანობა. ამ ცენტრებს უშუალო კავშირი აქვთ სპორტის სახეობათა საქალაქო და ქვეყნის ფედერაციებთან.

ყველა სახის ცენტრი ჩამოყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, რომელსაც დააფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რაც ბევრად შეუწყობს ხელს მათ საქმიანობას როგორც სამართლებრივი, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. აქამდე არსებულ სასპორტო სკოლებს არ ჰქონდა იურიდიული სტატუსი, რაც ძალზე აძნელებდა მათ ფუნქციონირებას. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა მოზიდულ იქნას არასაბიუჯეტო სახსრები, რაც შეამცირებს საბიუჯეტო დაფინანსების ხვედრით წილს და გაზრდის „ცენტრების" ეფექტურობას."

სპეციალისტები ადვილად გამოიტანენ დასკვნას თუ რასთან გვაქვს საქმე. ფაქტობრივად, მკვიდრდება ის, რაც დიდი ხანია უნდა დამკვიდრებულიყო, იცვლება მიდგომა და დამოკიდებულება პრობლემებისადმი, ბოლო მოეღება უწყებრიობას, ჩნდებიან კონკრეტული პასუხისმგებლები, როგორც ქართული სპორტის რეზერვის მომზადების, ისე, მასობრივი სპორტის სფეროში.

საკრებულოს კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ სიახლეებს. კომისიის ამავე სხდომაზე განიხილეს წლეულს, საერთაშორისო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში, რომელშიაც დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ, საქართველოს დელეგაციის (რომლის შემადგენლობაში 90 პროცენტი თბილისელია), დაფინანსების საკითხი, რამაც ასევე ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა.

და კიდევ, ერთი სიახლე. საკრებულოში იმსჯელეს აგრეთვე სამაშველო სამსახურის შექმნისა და სტრუქტურულად სპორტის საქალაქო სამსახურისთვის დაქვემდებარების შესახებ. კომისიის წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ სპორტის სამსახურთან უნდა ფუნქციონირებდნენ მამაც ადამიანთა ასეთი მობილური ჯგუფები. თუმცა, აქ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ზოგიერთი საკითხი დარჩა შესათანხმებელი.

„ლელო" – „გუმათე".

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი მოკრივე, მძიმე წონაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალისტი, საკავშირო სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი

ოთარ ზებულაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი წარმოგიდგენთ

საქართველოში მცხოვრები ბერძენი სპორტსმენები

საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი საწყისები ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, კოლხეთის სამეფოს პირველმა აღზევებამ საინტერესო მითების სერიალი შექმნა ძველი კოლხეთის შესახებ ელადაში.

ბერძნებისათვის ცნობილი კოლხეთის სამეფოს გაცნობის და დაახლოების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი ძველ ბერძენ ზღვაოსნებს მიუძღვით, რომლებმაც მრავალი ფათერაკების და წინააღმდეგობების მიუხედავად მაინც შეძლეს შავი ზღვის სანაპიროებისკენ მიმავალი გზების გაკვლევა და ათვისება, ყოველივე ამას ძველი წელთაღრიცხვის მე-8, მე-7 საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნული ახალშენების დაარსება მოჰყვა, რომლის წყალობითაც ქვეყანა დაუკავშირდა იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კოლხეთის სამეფო სიბნელის წყვდიადში ჩაიძირებოდა.

მთავარი მაინც ადრე გახმაურებული აპოლონიოს როდოსელის „არგონავტების“ თქმულებაა, რომელშიც პირველადაა მოხსენიებული კოლხეთის სატახტო ქალაქი „კუტაია“. საისტორიო წყაროებით დასტურდება საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობა, როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობებშიც.

საუბედუროდ, ჟამთა სვლამ საუკუნეების მანძილზე უმძიმესი ბედი არგუნა როგორც საბერძნეთს, ასევე საქართველოს. ძალაუნებურად ერთმორწმუნე ქვეყნები სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ბერძენ მოსახლეობას, ისინი მე-18 — მე-19 საუკუნეებში ანატოლიიდანაა გადმოსახლებული. ბერძენი ემიგრანტების ბოლო ნაკადი ლოზანის კონფერენციის (1922-1923 წ.წ.) შემდეგ შემოვიდა. 1970 წლის აღწერით საქართველოში 90 ათასამდე ბერძენი ცხოვრობდა.

საქართველოში მცხოვრები ბერძნები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. მათ ასევე ნათელი კვალი დაამჩნიეს საქართველოს მრავალსაუკუნოვან სპორტულ ცხოვრებას.

მე-19 საუკუნის მიწურულს ქუთაისში ხარაზიშვილების ცირკის არენაზე ყურადღების ცენტრში იყო სახელოვან ფალავანთა ასპარეზობა. ქუთათურები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ლეგენდარული ათლეტების ნესტორ ესებუას, კულა გლდანელის, ივანე პოდუბნის და სხვათა გამოსვლებს. საქართველოს ხშირი სტუმარი იყო ცნობილი ბერძენი ფალავანი ნიკოლა ლაპოდი, რომელიც მოჭიდავეთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში მონაწილეობდა. საყურადღებოა, რომ ბერძენ ფალავანს ქუთაისშიც უჭიდავია. 1907 წელს გაზეთი „ისარი“ წერდა: „კვირას, 16 სექტემბერს 1907 წელს, საინტერესო ჭიდაობაა. პირველი იჭიდავებენ კავკასიის სწორუპოვარი ფალავანი ნესტორ ესებუა და მაკედონიის საოცრად ღონიერი მოჭიდავე, ბერძენი ფალავანი ნიკოლა ლაპოდი. გამარჯვებული მიიღებს 100 მანეთს.“

მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე, კერძოდ, 1910 წელს, ბათუმში ფეხბურთის პირველი გუნდი შეიქმნა „ოლიმპიას“ სახელწოდებით (გუნდის თავი **სიდოროპულო**), რომელიც მთლიანად აჭარის დედაქალაქში მცხოვრები ბერძენი ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული. გუნდმა რამდენიმე წელი იარსება და, რაც მთავარია, ხშირად იმარჯვებდა საქალაქთაშორისო შეხვედრებში.

დაახლოებით იმავე პერიოდში ბათუმში შეიქმნა უჩვეულო სახელწოდების გუნდი „22“, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოში. თბილისში ჩამოსვლამ და „შევარდენის“ ფეხბურთელებთან შეხვედრამ წარმატება მოუტანა სტუმრებს, რომელთა რიგებში იყვნენ **ს. იოაკიმიდი, ნ. დიმიტრიადი, ა. მიკროპულო, პაპანჩიკი**, კალანდაძე, კალანდარიშვილი, რ. პოლოსოვი და სხვები.

1923 წელს ზღვისპირა ქალაქში კიდევ ერთი საფეხბურთო კოლექტივი შეიქმნა ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის გუნდის სახელწოდებით. სხვებთან ერთად გუნდის სპორტულ ღირსებას ბერძენი ფეხბურთელებიც, ძმები **სოკრატ და ანდრეი იოაკიმიდებიც** იცავდნენ. საყურადღებოა, რომ ბათუმელმა ფეხბურთელებმა თბილისში ბრწყინვალედ იასპარეზეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3-0. მასპინძლებმა სტუმრებს განმეორებით მატჩში შეხვედრა შესთავაზეს, მაგრამ სტუმრების კაპიტანმა ს. იოაკიმიდიმ უარი უთხრა. განაწყენებულმა თბილისელებმა ბათუმელ ფეხბურთელებს უკან გასაბრუნებელი ხარჯები არ გაუნაღდეს, ისინი იძულებული იყვნენ მატარებლის ბილეთების შესაძენად თავიანთი ლამაზი ქამრები გაეყიდათ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ჭიათურის სპორტულ ცხოვრებაში ბერძენმა სპორტსმენებმა დიდი როლი შეასრულეს. ირკვევა, რომ 1926 წელს მარგანეცის ქალაქში კალათბურთის პირველი გუნდი შეუქმნიათ, რომლის ინიციატორები იყვნენ **ს. ხრისტოსტომიდი, ვაიანლაროვი**, დ. უზნაძე, მ. კილურაძე და სხვები.

ტიგრან პეტროსიანი და თენგიზ ხარლამიდი ნორჩ მოჭადრაკეებთან

აღსანიშნავია, რომ ჭიათურაში ტანვარჯიშის ერთ-ერთი რთული ნომერი, ე.წ. „სოლნცე“ პირველად ს. ხრისტოსტომიდის გაუკეთებია.

1923 წელს ჭიათურაში კომკავშირლებისაგან საფეხბურთო კლუბი „კიმი“ დაკომპლექტდა, რომლის შემადგენლობაში ქართველებთან ერთად თამაშობდნენ ბერძენი ფეხბურთელებიც:. **ი. აფტალიდი, ა. სევასტოპულო, ვ. ფოტიადი, ე. ხარმანიდი, პ. პასიანიდი, ს. და ვ. თურმადოვები, დ. ერონდიდი** და **ს. ალიმონაკი.** საფეხბურთო კლუბ „რუდას“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ ი. აფტალიდი, პ. სევასტოპულო, ე. ხარბინიდი და ვ. პასიანიდი.

რაც შეეხება 30-იანი წლების ცნობილ საფეხბურთო გუნდს „ქართულ მარგანეცს“ ქართველების ბ. კახეთელიძის, კ. კაკაბაძის და სხვათა გვერდით ბერძენი ახალგაზრდებიც **ვ. ევიდამაკი, ფ. სიროპიდი და ვ. თურმადოვიც** იცავდნენ.

წლების მანძილზე შავი მარგანეცის ქალაქში სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ფრენბურთელ ექვთიმე პასიამიდის, მოკრივეს ვანო ფოტოიდის, მთამსვლელს შ. პანაიდიმიდის, მოჭადრაკეებს ნ. ეფრემიდის, დ. ერონდიდს და სხვებს.

საქართველოში თანამედროვე ფეხბურთის აკვანი ქალაქ ფოთში დაირწა. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ამ საპორტო ქალაქში ხშირად შედიოდნენ უცხოეთის ქვეყნის გემები, რომლებსაც ძვირფასი ნედლეული, მარგანეცი გაჰქონდათ. მაშინდელი ტექნიკა არ იყო სრულყოფილი და ამიტომ დატვირთვა-გადმოტვირთვას დიდი დრო მიჰქონდა. თავისუფალ დროს ინგლისელი მეზღვაურები ბურთის თამაშით იქცევდნენ თავს. მათ ადგილობრივი ახალგაზრდობა დიდი ინტერესით შესცქეროდა, ლელობურთის ოსტატებმა არაფერი იცოდნენ „ფუტბოლის“ შესახებ.

ვეტერანი ფეხბურთელი, სახელოვანი მწერლის **ლერი ალიმონაკის** მამა ბატონი საშა იგონებს: „ოციან წლებში ფოთში ერთ-ერთი პოპულარული გუნდი იყო „ურანი“ (ურანი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ღრუბელს ნიშნავს), ხშირად გვიხდებოდა თამაში ინგლისელებთან, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იქ, სადაც დღეს ფოთის წისქვილ-კომბინატი მდებარეობს, იმართებოდა შეხვედრები, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა“.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ფოთში ცნობილი ფეხბურთელები იყვნენ: ვანო მიქაძე, გრიშა ხორავა, იონა ყურუა, შალვა პაიჭაძე, პანტელეიმონ კვანტალიანი, აკაკი აფხაზავა, **ფედია სიროპიანასი, პანაიკორჩიდი** და სხვები.

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში თვალსაცემი იყო საქართველოში მცხოვრები ბერძენი მოცურავეების მაღალი სპორტული შედეგები, მათი რეკორდები კი წლების მანძილზე ხელუხლებელი რჩებოდა. სახელოვანმა მოცურავემ დ. კრიტიკოპულომ ქართველებთან ერთად 1934-37 და 38 წლებში არაერთხელ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში 4X100 მ. ესტაფეტაში.

1970 წელს ცნობილმა ოსტატმა **ალექსანდრე იოაკიმიდიმ** ს. მატვეევთან, ნ. ზემლიანუხინთან და ვ. სნიმჩიკოვთან ერთად თავისუფალი სტილით ცურვაში (ესტაფეტა 4X100) შედეგით 3,58,4 საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **ვასილ კირიაკიდისის** სპორტული მიღწევები, რომელმაც 1939 წელს თავისუფალი სტილით ცურვაში გრძელ დისტანციაზე (5000 მ-ზე) ასპარეზობაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და მთელი 13 წუთით გააუმჯობესა სოხუმელი ბორისენკოს სპორტული მიღწევა — 1:57,40,0.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში მოვიდა ბერძენი სპორტსმენების ნიჭიერი თაობა, რომლებმაც ახალი სული შთაბერეს საბჭოური ქვეყნის სპორტულ საქმიანობას.

უპირველეს ყოვლისა, ქების ღირსია ბათუმელი მოცურავე **ლაზარ ლაზარიდი**, რომელმაც მრავალ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში ისახელა თავი. 1952 წელს მან ორჯერ გააუმჯობეს საქართველოს რეკორდი 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. ქვეყნის ახალი რეკორდი 2,50,9 წამი წლების მანძილზე იყო ხელუხლებელი. იმავე წელს ლაზარ ლაზარიდიმ არაერთხელ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი 100 მ-ზე ბატერფლაის სტილით ცურვაში, რომელიც საბოლოოდ 1.10,4 წამი იყო. ამასთან, იგი თანაავტორი იყო რესპუბლიკური რეკორდებისა ესტაფეტაში 4X100 მ. და კომბინირებულ ცურვაში 3X100-ზე და კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მ.

არაერთხელ დაუმყარებიათ რესპუბლიკური რეკორდები სხვადასხვა მანძილზე ცურვაში ცნობილ ბერძენ სპორტსმენებს **კ. ლავერიდის, ფოთელ ელენა ვასილიადის, გალინა ხოლდის** და სხვებს.

საქართველოში საწყლოსნო სპორტის, კერძოდ, წყალბურთის და ცურვის განვითარებაში ფასდაუდებელია ცნობილი სპეციალისტის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის **ლუკა იოაკიმიდის** დამსახურება. ამ დაუღალავმა პედაგოგმა, რომელიც მესამედი საუკუნე სათავეში ედგა ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრებს, ათობით ცნობილი სპორტის ოსტატი აღზარდა. მისი მოსწავლე იყო ასევე საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მარგალიტა ტატიშვილი, რომელმაც თავის მხრივ აღზარდა ევროპის და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი თინათინ ლეკვეიშვილი.

იოაკიმიდის აღზრდილი იყო, აგრეთვე, შესანიშნავი წყალბურთელი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი და იურისტი პეტრე მშვენიერაძე, რომელიც 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საუკეთესო წყალბურთელად აღიარეს.

ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილებია სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონები, ჰელსინკის და რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილეები ვ. ლავრენკო და ი. აბოვიანი. ცნობილი მოცურავეები რ. არკადიევა, დ. კრილოვა, ვ. ჰედია, ა. ანტონიანი, ა. ტუტაკაევი და სხვ.

ა. იოაკიმიდის ვაჟმა **ალექსანდრე იოაკიმიდიმ** გასული საუკუნის 70-იან წლებში არაერთხელ იმარჯვა სხვადასხვა რანგის ტურნირებში, ხოლო 1968 წელს წახკაძორში საკავშირო ჩემპიონატზე 400 და 1500 მეტრზე ცურვაში ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. მასვე ეკუთვნოდა საკავშირო რეკორდი კომპლექსურ ცურვაში 400 მ-ზე — 4.49,2.

დიმიტრი გიორგაძე ახალგაზრდებთან (1960 წ.)

წლების მანძილზე ცისფერ ბილიკებზე წარმატებით ასპარეზობდნენ **ვ. იორდამიდი, ვასილ კირიკიდი, დოქსი კოლბაქსიდი, დანიელ პოლიხრონიდი, ვალენტინა ლოგინოპულო, კონსტანტინე ერმიდი, ალეკო პახატურიდი, ერიკ ლაზარიდი, ილია პოლტაპანიდი** და სხვები. არაერთხელ უსახელებიათ თავი აჭარის და აფხაზეთის ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

სხვადასხვა ასპარეზობებში არაერთხელ გაუმარჯვიათ ბათუმელ წყალში მხტომელ **გიორგი ლავასასისს**, წყალბურთელ **სტავროლოგინოვს** და სხვებს.

ბერძენ სპორტსმენებს ასევე არაერთხელ უსახელებიათ თავი ნიჩბოსანთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში. **მიხეილ თეოდორიდიმ** (ბაიდარა და კანოე) 1967 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ოქროს მედალი დაიმსახურა. მან ევროპის 1968 წლის ჩემპიონატზეც ისახელა თავი. ქუთაისში დაბადებულმა სპორტის ოსტატმა **სერაფიმ აპოსტოლიდიმ** 1990 წელს გამართულ იუნიორთა საკავშირო პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში პირველი ადგილი არავის დაუთმო. შემდეგ კი საფრანგეთის და თურქეთის საერთაშორისო ტურნირებშიც ისასპარეზა. ასევე წარმატებებს აღწევდა ცნობილი ნიჩბოსანი სპორტის ოსტატი **ხრისტო ჩილინგარიდი,** თბილისში დიდხანს მოღვაწეობდა ცნობილი მწვრთნელი **თეზეი ნეგეფტიდი,** რომელიც შემდეგ საბერძნეთში წავიდა საცხოვრებლად.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში აღზრდილი ბერძენი წყალბურთელები **ალეკო და ბონდო ქანდოპულოები** წარმატებით იცავდნენ სხვადასხვა რანგის ტურნირში რიონისპირა ქალაქის სპორტულ ღირსებას.

ყველა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი წარმატებები, რაც საქართველოს სამთომოთხილამურეებს აქვთ მოპოვებული საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, დაკავშირებულია **ივანე მაკროპულოს, იბრაგიმ ჯანგობეკოვის,** მიხეილ გავას და კობა წაქაძის სახელთან. ივანე მაკროპულო ის ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო, რომელმაც 1948 წელს ქ. სვერდლოვსკში გამართულ საკავშირო პირველობაზე ორჭიდში (18 კმ და ხტომები) — 420,4 ქულით საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ეს დიდი გამარჯვება მით უფრო სასიხარულო იყო, რომ იმ პერიოდში განებივრებული არ ვიყავით სამთო-სათხილამურო სპორტის მაღალი კლასის ოსტატებით.

საქართველოში დაბადებულ და აღზრდილ ბერძენ ტყავის ბურთის ცნობილ ოსტატებს ღირსეული წვლილი მიუძღვით ქართული ფეხბურთის საყოველთაო აღიარებაში. ბათუმის „დინამოს“ მცველი **გიორგი (კუკო) ფეხლევანიდი** ერთ-ერთი პირველი ბერძენი სპორტსმენია, რომელსაც 1940 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. ფეხბურთის ვეტერან გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ თბილისის „დინამოს“ ცენტრფორვარდი **იური ვარდიმიადი**. საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი წლების მანძილზე ქართული ფეხბურთის ლხინის და ჭირის თანამეინახე იყო. იმ პერიოდში კიდევ ერთი ბერძენი სპორტსმენი **გიორგი გრამატიკოპულო** წარმატებით იცავდა ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სპორტულ ღირსებას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის „ტორპედოს“ რიგებში წარმატებით ასპარეზობდა **ვ. ამფიმიადი**. ასევე აღნიშვნის ღირსია იმავე პერიოდის ცნობილი ბათუმელი მცველი გიორგი ამფიმიადი, რომელიც გამორჩენილი ოსტატების ქიქავას, ონიანის, დანელიას, გიორგაძის და სხვების გვერდით თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

წლების მანძილზე წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ სპორტულ ღირსებას **ალექსანდრე ილიადი.** საყურადღებოა, რომ მარტო თბილისის „დინამოს“ მაისურით იგი 121-ჯერ გამოვიდა ფეხბურთის მწვანე მინდორზე და მეტოქეთა კარში 10 ბურთი გაიტანა. ყურადსაღებია, რომ სახელოვან ბერძენ ფეხბურთელს სსრ კავშირის პირველ და ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებშიც კი უთამაშია.

1964 წელს საქართველოში დიდი ინტერესი გამოიწვია საბერძნეთის ერთ-ერთი უძველესი საკლუბო საფეხბურთო გუნდის „პანიონიოსის“ სტუმრობამ. ეს იყო ბერძენი ფეხბურთელების პირველი ვიზიტი საბჭოეთის დიდ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე მათ იუგოსლავიაში ფრედ 2-2 ითამაშეს „ჰაიდუკთან“, ასევე ფრედ 1-1 ითამაშეს შვეციის „მალმესთან“, მოსკოვში კვლავ ფრეს დასჯერდნენ ადგილობრივ ტორპედოელებთან. აი, თბილისში კი ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ თ. მელაშვილის ორი და ს. აპრესიანის გოლის წყალობით 3-1 დაამარცხეს „პანიონიოსი“.

საქართველოში აღზრდილი ფეხბურთელებიდან კარგად იყვნენ ცნობილი თბილისის „ლოკომოტივის“ მცველი უბ**ტაბაშიდი**, თბილისის „დინამოს“ წევრი ომარ თეთრაძე და სხვები.

არც ცნობილი არბიტრის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის **პეტრე გავროლიადის** დავიწყება შეიძლება. წალკის რაიონის სოფელ ახალიკში დაბადებულმა ყმაწვილმა მაღალკვალიფიციური არბიტრის სახელი დაიმსახურა. 1953 წელს იგი კურორტ ხოსტის სტადიონის დირექტორად დაინიშნა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ამაგდარი მწვრთნელები **გ. ელჩიდი, ვ. ობადინი,** რომლებმაც დიდ ფეხბურთს ისეთი სახელოვანი ფეხბურთელები მისცეს, როგორებიც იყვნენ გრიგოლ ცაავა, მურთაზ სიჭინავა და სხვები. ჭიათურაში დაბადებული ფეხბურთელი **ვასილ ფოტილადი** წლების მანძილზე ყაზახეთში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ხოლო ჭიათურელი ამირან **სევასტოპულო** ადგილობრივი გუნდის „მაღაროელის“ ღირსეული წევრი იყო, უფრო გვიან კი იგი ჭიათურის ბავშვთა სპორტულ სკოლას თავკაცობდა. საქართველოს გარეთ გააგრძელეს მოღვაწეობა **ანდრეი გირჯიევმა,** ძმებმა **ვალენტინ და ალექსანდრე კარსლიევებმა, დავით სიდოროვმა** და სხვებმა.

როცა ზუგდიდის ძველი პლეადის ფეხბურთელებს ვახსენებთ, უპირველეს ყოვლისა ასახელებენ **აფანას გრამატიკოპულოს,** პანაიდსის, აგრეთვე მურა ცხორებაშვილს, გოგი ხვედელიძეს, ანტუშა ქარჩავას და მრავალ სხვას.

საქართველოში მცხოვრებმა ბერძენმა მოკრივეებმა ძმებმა **ბაბახანიდებმა, ალექსი სიდოროპულომ,** ვალერი **პაპანდოპულომ, სერგო ჩატულიდიმ** და მრავალმა სხვამ არაერთხელ ასახელეს საქართველო რინგის კვადრატზე.

წლების მანძილზე სპორტის გულშემატკივრების ყურადღებას მაგიდის ჩოგბურთელი ბათუმელი **სიმელა პარფენიდი** იპყრობდა. რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებულ ხში-

იხ. მე-4 გვ.

საქართველო – საბერძნეთი

დიდი მატჩის და მაქსიმალური შედეგის მოლოდინით, საიუბილეო მეასე

ქართულ-ბერძნული საფეხბურთო დაპირისპირება რამდენიმე გარემოების გამო ისტორიულად ჩაითვლება. გარდა იმისა, რომ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ქართველთა მეტოქე კონტინენტის მოქმედი ჩემპიონია, კარგი შედეგი შემდგომი წარმატებული ასპარეზობის საწინდარი გახდება. მოწინააღმდეგე ძლიერი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ტიტულოვანი გუნდია და ისიც, მასპინძლისა არ იყოს, წარმატებას ეშურება გასვლით მატჩში. **ოტო რეჰაგელმა** თავისი ლაშქარი თბილისში გუშინ ჩამოიყვანა, გუნდთან ერთად სასტუმრო „მარიოტში“ ჩაიკეტა და ვარჯიშებიც შინაური თუ უცხო თვალის მოსარიდებლად დახურა. მასპინძლების ორჯერადი ვარჯიშებით და ყოველდღიური ბრიფინგებით გაჯერებული მოსამზადებელი დღეებიც გასრულდა და ხვალ ძნელი, მაგრამ ოპტიმიზმით სავსე მატჩია. ქირესი ნაკრების წევრთა საბრძოლო განწყობით კმაყოფილია და მასმედიელებთან მუდმივი შეხვედრებისას, იმას იმეორებდა, რომ დაუმარცხებელი არავინაა და არც ჩვენი მეტოქეა უძლეველი, თუმცა, მისი წაქცევისთვის ჩვენებურებს დიდი ჯაფა რომ დაადგებათ, ესეც ნათელია. თბილისში ნასტუმრებ ბერძნებს შემადგენლობის მხრივ პრობლემები თითქმის არ აქვთ, მაგრამ ორი ძირითადი ფეხბურთელი დააკლდება — ტრაიანოს დელასი და მიხალის კაპსისი. სამძრად შემართული დახვდათ მათ მასპინძელთა გუნდიც. ქირესს ერთი, გოგა გახოკიძე აკლია, რომლის ჩამოუსვლელობის მიზეზი, კუნთის ტრავმა კარგა ხანია ცნობილია. სხვა მხრივ, ქართულ გუნდს ყველაფერი წესრიგში აქვს. კიდევ აღსანიშნავი ის არის, რომ ხვალინდელ შეხვედრაში საქართველოს ეროვნული გუნდი თხუთმეტწლიანი ისტორიის განმავლობაში, საიუბილეო, მეასე ოფიციალურ მატჩს გამართავს, ბერძნებს კი მეოთხედ დაუპირისპირდება. მცირე ხნით სტატისტიკასაც გადავხედოთ. დღემდე ჩვენს ნაკრებს 99 მატჩი აქვს ჩატარებული, მოიგო 33, ფრედ დაასრულა 17 და წააგო 49 შეხვედრა, ბურთების შეფარდება 131-143. სამწუხაროდ, უარყოფითი ბალანსი გვაქვს ბერძნებთან ადრინდელ სამ პაექრობაში. ხვალინდელ მეტოქეთა პირველ მატჩში ელინებმა გვიმასპინძლეს და 2-1 მოგვიგეს 1996 წლის 8 მაისს. შემდეგი ორი დაპირისპირება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იყო. 1998 წლის 14 ოქტომბრის და 1999 წლის 5 ივნისის მატჩებიც (3-0 საბერძნეთში და 2-1 საქართველოში ბერძნებმა მოიგეს). სამი მატჩი, სამი მარცხი, ბურთები 2-7-ზე, ასეთია ჩვენი მეტოქეობის შედეგები განვლილ მეოცე საუკუნეში. ოცდამეერთე საუკუნეში კი პირველად შევიყრებით მწვანე მინდორზე. აღნიშნულ შეხვედრებში ქართველთაგან შვიდი ფეხბურთელი მონაწილეობდა: ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, აშვეთია, კობიაშვილი, კალაძე და შოთა არველაძე. ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ ორჯერ უთამაშია ბერძენთა გამოცდილ თეოდოროს ზაგორაკისს, თითოჯერ — ზისის ვრიზასს, სტელიოს იანაკოპულოსს და ვასილის ტარტასს.

კარტები გაუხსნელია, თუმცა, იმის თქმაც არ შეიძლება, თითქოს მეტოქეები ერთმანეთს არ იცნობდნენ და არაფერი იცოდნენ. იტალიელი მსაჯის სასტვენი შაბათის ღამეს „ლოკომოტივის“ სტადიონის მინდორზე მოუხმობს ქართველებს და ბერძნებს და ისტორიული მატჩიც დაიწყება. ისიც სათქმელია, რომ იტალიელები პირველად გვიმსაჯებენ. გაუმართლებს იღბლიანს და მოიგებს უძლიერესი. ოცდახუთათასიანი რკინიგზელთა საფეხბურთო არენა კი შეივსება და იგუგუნებს მასპინძელთა გასამხნევებლად და სტუმართა დასათრგუნავად. ასეთია წესი და ასე იქნება ხვალეც.

ოთხდღიან სანაკრებო პაექრობებს ტრადიციულად ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩები გახსნიან. **გოჩა ტყებუჩავას და სტელიოს აპოსპორისის** შეგირდები დღეს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. ახალგაზრდებს გულშემატკივართა ყიჟინა ვერ გაამხნევებს. გარკვეული პრობლემები ორივე გუნდს აქვს. ტყებუჩავას გუნდში ვერ ითამაშებს ფორვარდი ირაკლი მოდებაძე, არ იქნება გიორგი ციმაკურიძე, რომელიც დისკვალიფიცირებულია, გოგიტა გოგუა კი ეროვნულ გუნდშია მიწვეული. ბერძნებს არ ეყოლებათ კაპიტანი ანგელოს ვენციუსი. იგი დისკვალიფიცირებულია. გოჩა ტყებუჩავას დავით იმედაშვილის, დავით გიგაურის, პაატა ჩოხელის, შოთა ჯიქიას და ბექა ქღენტის იმედიც აქვს და რაიმე პრობლემის შემთხვევაში ბერძნებთან და თურქებთან გუნდს ისინი შეავსებენ. განწყობა ახალგაზრდებშიც ოპტიმისტური და საბრძოლოა.

რაც შეეხება ცარიელ ტრიბუნებს და უმაყურებლო მატჩს, ეს საქართველო — დანიის ახალგაზრდული გუნდების განვლილი მატჩისას მომხდარი უწესრიგობის შედეგია. შეხვედრას მხოლოდ ქართველთა და ბერძენთა დელეგაცია (75-75 კაცი) და ჟურნალისტების გარკვეული რაოდენობა დაესწრება.

25 მარტს, 16 საათზე ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს შოტლანდიელი მსაჯები გაუძღვებიან: ჩარლზ რიჩმონდი, ჯეიმს ლიონი, ჯეიმს ბი და ბრაიან ვინტერი. უეფას დელეგატი ესპანელი მანუელ ლოპეს ფერნანდესია.

26 მარტს, 20.30 საათზე ეროვნულ ნაკრებთა მატჩს კი იტალიელები მოემსახურებიან: **რობერტო როსეტი, მარკო ივალდი, ალესანდრო გრისელი და პასკუალე როდომონტი**. ფიფას დელეგატი ბელგიელი **რობერტ სტერქსია.**

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ხვალ კიდევ ორი მატჩია. დანია ყაზახეთს უმასპინძლებს, თურქები ალბანელებს მიიღებენ.

გათამაშების ცხრილში ისეთი სიმჭიდროვეა, ხვალინდელი სამივე მატჩის შედეგს ვითარების კარდინალურად შეცვლა შეუძლია. არ ითამაშებს მხოლოდ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი უკრაინა. სლავებმა ჭკუა-გონებას მოუხმეს და ნაკრების თავკაცად ოლეგ ბლოხინი დააბრუნეს.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი

26 მარტი, შაბათი

დანია — ყაზახეთი
საქართველო — საბერძნეთი
თურქეთი — ალბანეთი

30 მარტი, ოთხშაბათი

უკრაინა — დანია
საქართველო — თურქეთი
საბერძნეთი — ალბანეთი

უკრაინა	6	4	2	0	11-3	14
საბერძნეთი	5	2	2	1	7-5	8
თურქეთი	5	1	3	1	6-5	6
დანია	5	1	3	1	7-6	6
ალბანეთი	5	2	0	3	3-7	6
საქართველო	4	1	2	1	5-5	5
ყაზახეთი	4	0	0	4	2-10	0

ახალგაზრდული ნაკრებები

25 მარტი

დანია — ყაზახეთი
საქართველო — საბერძნეთი
თურქეთი — ალბანეთი

29 მარტი

უკრაინა — დანია
საქართველო — თურქეთი
საბერძნეთი — ალბანეთი

დანია	5	4	1	0	11-6	13
უკრაინა	6	3	1	2	11-5	10
თურქეთი	5	2	2	1	4-3	8
საბერძნეთი	5	2	1	2	8-4	7
ალბანეთი	5	1	2	2	5-6	5
საქართველო	4	1	1	2	4-11	4
ყაზახეთი	4	0	0	4	0-8	0

ვახტანგ ჭელიძის გახსენება

ვახტანგ (ბიჭი) ჭელიძე 60-70-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ღირსეული წევრი იყო. მისი პირველი დამრიგებელი ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ბერძენიშვილი იყო. შემდეგ ის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაში დაოსტატდა, სადაც აღიარებული პედაგოგი, საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი ვლადიმერ ელოშვილი წვრთნიდა. ვახტანგ ჭელიძეს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იმ წლებში მოუწია თამაში, როდესაც გუნდს ისეთი სახელმოხვეჭილი მწვრთნელები ჰყავდა, როგორებიც იყვნენ: გავრილ კაჩალინი, მიხეილ იაკუშინი, ვიაჩესლავ სოლოვიოვი, ნოდარ ახალკაცი და ალექსანდრე კოტრიკაძე.

ვახტანგ ჭელიძე სრულიად ახალგაზრდა, 19 წლისა ჩაირიცხა თბილისის „დინამოში“. იმ წელს, ე.ი. 1964 წელს, ვახტანგ ჭელიძემ საბჭოთა კავშირის პირველობაზე სათადარიგო შემადგენლობათა შორის ოქროს მედალი მოიპოვა. 1965 წლის სეზონის დაწყებიდან ის უკვე გუნდის ძირითად შემადგენლობაში გამოდის.

საერთოდ, 1965-1976 წლებში ვახტანგ ჭელიძემ თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში სულ 343 შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა. აქედან საბჭოთა კავშირის პირველობაზე მის ანგარიშზეა 256 შეხვედრა და 7 გოლი, ქვეყნის თასზე 31-ჯერ დაიცვა გუნდის ღირსება და 2 გოლი გაიტანა. მონაწილეობდა აგრეთვე 56 საერთაშორისო შეხვედრაში და გაიტანა 2 გოლი. 1976 წელს, როდესაც თბილისის „დინამო“ პირველად საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა, ვახტანგ ჭელიძე 5 შეხვედრიდან სამში მონაწილეობდა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი რომ დაინიშნა, ვახტანგ ჭელიძე გუნდმა კაპიტნად აირჩია, რითაც მის მიმართ დიდი სიმპათია გამოხატა. მძიმე ტრავმამ ვახტანგ ჭელიძეს ხელი შეუშალა ფეხბურთის თამაში გაეგრძელებინა. 1976 წლის სეზონის ბოლოს ის გუნდიდან წავიდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა. შემდეგ სხვადასხვა წლებში მილიციის უფროსად მუშაობდა: მცხეთაში, გორში, ხაშურში, რუსთავში, თბილისში — ვაკის რაიონში. 1995 წელს დაინიშნა თბილისის პოლიციის უფროსის პირველ მოადგილედ. სამწუხაროდ, ვიდრე ის ამ მეტად საპასუხისმგებლო სამსახურში მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, გულმა უმტყუნა და უეცრად გარდაიცვალა.

ღმერთი გაანათლებს ვახტანგ ჭელიძის სულს.

ამინ!

დურმიშხან ცინცაძე



სურათზე: მარცხნიდან — მურთაზ ხურცილავა, დავით გოგია, ვახტანგ ჭელიძე, კახი ასათიანი, გოჩა ჯოხაძე, დავით ყიფიანი, რევაზ ძიძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ნოდია, ლევან ნოდია.

25 მარტს თარიღი

1949 წელს დაიბადა **მანუჩარ მაჩაიძე** („დინამო“ თბ) — სპორტის ოსტატი. სსრ კავშირის ჩემპიონი (1978), სსრ კავშირის თასის მფლობელი (1976, 1979), ერთხელ გახდა სსრკ ჩემპიონატის მეორე, ოთხჯერ — მესამე პრიზიორი, მონაწილეობდა მს. ჩემპიონატის (1980) შესარჩევ მატჩებში (ჩაატარა 4 შეხვედრა), „33“ საუკეთესოში მოხვდა რვაჯერ.

ფიფა – კოკა-კოლას რეიტინგი

საქართველო ასეულშია

შესარჩევ მატჩებამდე ფიფამ და „კოკა-კოლამ“ ტრადიციული სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა. მარტში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რეიტინგში ორი საფეხურით აინაცვლა და ახლა მე-100 ადგილზეა. ჩვენი მეტოქეები ერთმანეთის მეზობლად განლაგდნენ. საბერძნეთი — მე-14, თურქეთი — მე-15, დანია — მე-17, ჯგუფის ლიდერი უკრაინა 47-ე ადგილზეა. გვისწრებს ალბანეთიც, რომელსაც 88-ე საფეხური უკავია, ყაზახეთი ბოლოში, 149-ე ადგილზეა. რეიტინგის მოწინავე სამეული უცვლელია: ბრაზილია, საფრანგეთი, არგენტინა.

პირველი ლიგა, XIX ტური

ვიტ ჯორჯია (მცხ) — კახეთი 1-1
ლოკომოტივი2 — ამერი 1-5
მაღაროელი — გურია 1-2
დინამო2 (თბ) — ბორჯომი 1-3
ჩიხურა — მილანი-მერანი 2-2
ივერია — ოლიმპი 1-4
საგარეჯო — რუსთავი 0-0
სპარტაკი — ცხინვალი 3-0

ბორჯომი	19	16	1	2	52-21	49
ამერი	19	14	1	4	54-9	43
სპარტაკი	19	12	6	1	35-17	42
ვიტ ჯორ.(მცხ)	19	12	4	3	30-12	40
კახეთი	19	11	3	5	31-23	36
ცხინვალი	19	9	3	7	25-23	30
დინამო2 (თბ)	19	9	1	9	44-32	28
გურია	19	7	4	8	20-28	25
ჩიხურა	19	6	5	8	19-23	23
ივერია	19	6	5	8	17-26	23
ლოკომოტივი2	19	6	4	9	24-30	22
რუსთავი	19	5	3	11	23-32	18
მილანი-მერანი	19	5	2	12	23-35	17
ოლიმპი	19	4	4	11	19-33	16
საგარეჯო	19	3	5	11	17-42	14
მაღაროელი	19	0	3	16	9-56	3

სტალინმა დარეკა...

„მოპარული და დაბრუნებული საათი“

პანაშვიდი იწურებოდა, დაგვიანებული ჭირისუფალნი აქა-იქ თუ გამოჩნდებოდნენ შავფარდებ ჩამოფარებულ ოთახში. უხვად ილვრებოდა ძველი ქართული საგალობლის გულში ჩამწვდომი ხმები, რომელსაც ენაცვლებოდა ქართული მუსიკის კლასიკოსების სევდიანი სიმღერების ჰანგები. როგორ არ ჰგავდა იგი მრავალათასიანი ტრიბუნების ხმაურს, აპლოდისმენტებით გამოხატულ აღტაცებას, სპორტული ჟინით ფეხზე წამოვარდნილ გულშემატკივართა ძახილს, მოწოდებას. დუმდა მარად დაუდეგარი ქართული ფეხბურთის ჯადოქარი, „სამხრეთიდან მოვარდნილი ქარიშხალი“, — როგორც მას რუსულ პრესაში უწოდებდნენ, სწრაფი, მოუხელთებელი დრიბლინგიორი, თავბრუდამხვევი ფინტების ოსტატი, მოწინააღმდეგეების დაცვის დეზორგანიზატორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გაიოზ ჯეჯელავა. ერის წინაშე პასუხისმგებელი პატრიოტი, ვალმოხდილი:

— „ფეხბურთელი ზოგიერთს მხოლოდ ის სპორტსმენი ჰგონია, რომელიც ხალისიანად დარბის მინდორზე, სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებს ნახულობს და ცხოვრებას ლხინში ატარებს, სინამდვილეში კი სამარულე ცხენსაც კი არ სჭირდება იმდენი სირბილი, რამდენიც ფეხბურთელს. უმეტესი დრო ოჯახს მოშორებული, ათასგვარ ახალგაზრდულ სიამოვნებას მოკლებული, ოფლში იხვითქება იმისათვის, რომ სპორტული ფორმა შეინარჩუნოს და თავისი ქვეყნის პრესტიჟი დაიცვას. საქართველოდან უცხო ქვეყანაში გასული ყველა სპორტსმენი არსებითად ერის დესპანია, მან უცხო ხალხს უნდა უჩვენოს ზრდილობა და, რა თქმა უნდა, სპორტული ოსტატობა. სულ მცირე შეცდომამაც კი შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ყველას, ვინც გაგაგზავნა და ნდობა გამოგიცხადა. ამიტომაც რამდენი დაკვირვება, სიფრთხილე და ყურადღება გმართებს. მადლობის მაგივრად კი, არა ერთი და ორი დადის დაზიანებული წვივით, გაგლეჯილი მენისკით, კოჭლობით და ზოგიც ყავარჯნებით. არ შეიძლება მათ არ გავუფრთხილდეთ, მადლობა არ ვუთხრათ, არ გავამხნევოთ.“

ოთახში უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა. თვალები აქეთ-იქით მიატარა, მიცვალებულს დახედა, თავი უკმაყოფილოდ გააქნია. „შენ მაინც სხვა იყავიო“ — ჩაილაპარაკა, შემოტრიალდა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, თეთრ ნაჭერში გახვეული რაღაც ნივთი ამოიღო, გაიოზის ქალიშვილს ნინოს მიუახლოვდა, „მოზიარე ვარ თქვენი მწუხარებისა, ქალბატონო“, ჩაილაპარაკა, ხელში ნივთი ჩაუდო, სწრაფი ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან და კიბეებზე დაეშვა.

ჭირისუფალს ხელში ეჭირა უცნობის დანატოვარი და გაკვირვებული დაჰყურებდა.

— ვინ იყო, ნინო?

— არ ვიცი...

— რა არის, რა მოგცა?

— არც ეგ ვიცი...

— მერე გახსენი და ნახე! — ნინომ საგულდაგულოდ დახვეული ზონარი შემოხსნა და საათის ისრებმა ელექტროშუქზე დაიწყეს ბრწყინვა.

— საკვირველია, თავისი საათი ჩვენთვის რატომ უნდა დაეტოვებინა?

— აბა, მაჩვენე!.. აქ რაღაც აწერია.

— წაიკითხე...

— რუსულად არის.

— მერე რა მოხდა, წაიკითხე.

— ახლავე: დედა. დედა! მამის საათია, რამდენიმე წლის წინ მუზეუმიდან რომ მოიპარეს...

— ვინ იყო, არ თქვა, ვინა ვარო?

— არაფერი არ უთქვამს...

Джеджелаве Г.И. От Сталина В.И. 1950 год.

ვასილი სტალინი...

„იმ დღეს, ეს იყო 1949 წლის ოქტომბრის ბოლო, კონსტიტუციის ქუჩის გვერდით არსებულ სტადიონზე ბავშვებს ვამეცადინებდი. ამ დროს 35-ე სკოლის მომარაგების განყოფილების გამგე აღელვებული მოვარდა და შორიდანვე ტყვიასავით მომახალა:

— ბატონო გაიოზ, მოსკოვიდან სტალინმა დარეკა, თქვენთან ლაპარაკი სურს.

ყველა იქ მყოფს სიცილი აუტყდა.

— აბა, კარგად გაიხსენე, ლავრენტი ბერიასაც ხომ არ გავხსენებივართ! — გასძახა ოტია ქორდანიამ.

— ჩემთან უინსტონ ჩერჩილს უნდა დაერეკა, ფრანკლინ რუზველტი კი მე გამოვიძახე და ვაი მას, თუ არ დამიკავშირდა, თავისივე განცხადებით გავათავისუფლებ ამერიკის პრეზიდენტობიდან. — ჩაილაპარაკა ჩემმა ძმა ჯუანშერმა.

— თქვენ ხუმრობთ, მე კი ნამდვილს გეუბნებით.

როცა ვარჯიში დავამთავრეთ და სკოლაში დავბრუნდით, დამახვედრეს მოსკოვიდან გადმოცემული ტელეფონოგრამა:

„Звонил адъютант командующего ВВС МВО генерала лейтенанта Сталина В.И. и прасил чтобы в 9-часов вечера находился дома заслуженый мастер спорта СССР Джеджелава Гаиоз Иванович. С ним хочет говорить командующий ВВС товарищ Сталин Василий Иосифович.“

ასევე შინაც დაერეკათ.

ათასნაირი ფიქრი დამიტრიალდა თავში, ვიგონებდი წარსულს, ვითვლიდი სავარაუდო ვარიანტებს, მაგრამ დასკვნა მაინც ვერ გამომეტანა.

ზუსტად ცხრა საათზე გაისმა ტელეფონის ზარის ხმა.

— ამხანაგი ჯეჯელავა ბრძანდებით?

— დიახ...

— მე ვასილი სტალინი ვარ, თქვენ მოსკოვში უნდა ჩამოხვიდეთ, მოსალაპარაკებლად...

— რის თაობაზე?

— მაგას აქ გეტყვით.

10 ნოემბერს ჩავედი მოსკოვში, დამხვდნენ ვასილი სტალინის წარმომადგენლები, მათ მაცნობეს, რომ გენერალ-ლეიტენანტი ამჟამად პერეიასლავ-ლაზალეოსკშია და იქ უნდა წაგიყვანოთო. ჩამსვეს მანქანაში და გავუყევი გზას. ფინურ სამოთახიან სახლში მიმიღო ჩემმა მასპინძელმა, გადამკოცნა და სუფრასთან მიმიწვია. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ვვ-ის უფროსმა განმიცხადა:

— „ჩვენმა მფრინავებმა უნგრეთიდან ჩამომიტანეს რუსულიდან უნგრულ ენაზე ნათარგმნი თქვენი წიგნი ფეხბურთის შესახებ, გავეცანი, მომეწონა და მინდა ჩვენი ფეხბურთის გუნდის მწვრთნელობა შემოგთავაზოთ.

ძალიან ძნელია ისეთ გუნდში მუშაობა, სადაც სხვადასხვა კოლექტივიდან მოკრეფილი ვარსკვლავები იყრიან თავს, ასეთი გუნდი რატომღაც იმ ქათმების ფერმას მაგონებს, სადაც მხოლოდ მამლაყინწები არიან, არ არის მოთამაშეთა შორის მეგობრობა, ურთიერთგაგება, ერთმანეთის გვერდით ყოფნით განმტკიცებული და ქვითკირივით გამაგრებული კავშირი, ამიტომ არ არის ურთიერთის პატივისცემა, შეხმატკბილება.

მე და ჩემი ძმა ჯუანშერი შევუდექით მუშაობას. შემოვიღეთ ორიგინალური ვარჯიშები, ვაჩვენეთ ახალი ტექნიკური ილეთები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო რიგით ფეხბურთელებში, ვარსკვლავებშიც კი.

იმ დროისათვის საბჭოთა ქვეყნის, როგორც ფაშიზმზე გამარჯვებული სახელმწიფოს ავტორიტეტი, ზენიტში იყო: განსაკუთრებით დიდებით სარგებლობდა გენერალ-სიმუსი სტალინი, რომელიც გაღმერთებული იყო თითქმის მთელი მსოფლიოს ხალხების მიერ. დიდი სურვილი მქონდა პირადად მენახა ეს ზეკაცი და გამეცნო. ერთხელ ვასილ სტალინს გავანდე ჩემი ოცნება. მანაც მცირედი დაფიქრების შემდეგ მითხრა, რომ მოაწყობდა ასეთ შეხვედრას.

ვასილმა ერთი კვირით ადრე მაცნობა, რომ სტალინთან აუდენცია შედგებოდა 30 ოქტომბერს. იმ დილას შეუძლოდ შევიქენი, თითქოს მაციებდა, ' მაგრამ როგორ შეიძლებოდა შეხვედრის გადადება. დანიშნული დროისთვის კუნცევოში ვიყავით. დაცვამ შეუმოწმებლად გაგვატარა. შევედით უბრალოდ მოწყობილ დიდ დარბაზში, მის ბოლოში მოჩანდა კარები, სადაც, როგორც ვასილიმ მითხრა, ბელადის სამუშაო ოთახი იყო. მონუსხულივით მივდევდი ჩემს მეგზურს, რომელმაც სწრაფად გაიარა დარბაზი და კარები შეაღო. მე ოდნავ შევყოვნდი, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა.

უეცრად ვასილი ჩემსკენ შემოტრიალდა და ხელით მანიშნა შევსულიყავი. სტალინი საწერ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა, ჩვენი შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა და შვილს ხელი გაუწოდა. ვასილიმ გადაკოცნა მამა და განზე გადგა.

— საიდან გამოჩხრიკე ეს ქართველი? — ჩაილაპარაკა სტალინმა და მე გადმომხედა.

— ეს ჩვენი ფეხბურთის გუნდის მწვრთნელია.

— ვიცი, ვიცი, გაიოზ ჯეჯელავა, იქ კიდევ ერთია — პაიჭაძე. თქვენ მართლაც კარგად გამოგდით. როცა გუნდი იგებს, მაშინ წერენ, რომ მოედანზე სასწაულებს ახდენდით, ხოლო როცა აგებთ, მაშინ დასძენენ, რომ თქვენმა მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო. ისე გამოდის, რომ თითქოს თქვენს გარდა კოლექტივში სხვა არავინ იყოს!

„ვვს“ გუნდში ისე ვერ აეწყო მუშაობა, როგორც მინდოდა. ვარსკვლავებმა ადვილად მოძებნეს საერთო ენა თავნება ხელმძღვანელთან, მისი დახმარებით ცდილობდნენ თავისი ნება-სურვილი ჩემთვის დაეკანონებინათ.

ადრევე შევნიშნე მოსალოდნელი კონფლიქტის გარდუვალობა და ჩვენი მეგობრობა რომ უსიამოვნოდ არ დამთავრებულიყო, ვასილის ვთხოვე, გავეთავისუფლებინე უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან. მეგობრულად დავშორდით ერთმანეთს.

ვასილიმ მხარზე ხელი დამკრა, გადამეხვია, მაჯიდან საათი მოიხსნა და საჩუქრად გადმომცა“.

საათი ისევ წიკწიკებდა, როგორც 55 წლის წინათ. დრო უძლურია დანისლოს, მიწა მიაყაროს იმ საათებსა და წუთებს, რომლებიც დავიწყებით არ იბურება, ხავსი არ ედება, წუთისოფლის წელთა ბრუნვა ვერ ასამარებს.

ვალერიან მამუკელაშვილი.

თქვენთვის, ერუდიტებო!

1. დაასახელეთ ინგლისის საფეხბურთო გუნდი, რომელმაც თავისი არსებობის 119-წლიან ისტორიაში პირველად ძირითად შემადგენლობაში და შეცვლაზეც მხოლოდ უცხოელი ფეხბურთელები ათამაშა.

ა — „ჩელსი“
ბ — „მანჩესტერ იუნაიტედი“
გ — „არსენალი“

2. ვინ იყო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი 1957 წელს?

ა — მეტიუზი
ბ — დი სტეფანო
გ — კოპა

3. რომელ ქვეყანაში ჩატარდა 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში?

ა — ჩილეში
ბ — ინგლისში
გ — შვეციაში

4. რომელ წელს დაარსდა ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაცია (ფიფა)?

ა — 1896 წელს
ბ — 1902 წელს
გ — 1904 წელს

5. რომელ წელს ჩატარდა ფეხბურთში პირველი საერთაშორისო მატჩი?

ა — 1900
ბ — 1902
გ — 1904

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

საქართველოში მცხოვრები ბერძენი სპორტსმენები

მეორე გვერდიდან

რად უწევდა პარტნიორობა შერეულ წყვილთა ასპარეზობაში საქვეყნოდ ცნობილ სარქის სარხოიანთან, ეს დუეტი წლების მანძილზე სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო.

ტანვარჯიშში თავისი სიტყვა თქვეს **სავა დელიბალტიდისმ, ზოია მერიციდიმ, ალექსეი გავრილიადისმ, ლარისა მანტიდისმ, სვეტლანა ლოგინოვამ, დიმიტრი კუციდიმ,** ქუთაისელმა **ვანო ორფინიდიმ** და მრავალმა სხვამ. ცნობილმა აკრობატებმა **ალექსი მავრანგელოვმა და აფანას იანაკოვმა** არაერთი მაღალი რანგის ტურნირებში ისპარეზეს. როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, ალექსი მავრანგელოვმა მწვრთნელის მანტიაშიც თქვა ღირსეული სიტყვა.

სხვადასხვა რანგის ტურნირებში თავი უსახელებიათ ბერძენ ბატუტისტებს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და საკავშირო ტურნირების პრიზიორს **მიხაილ პელივანიდის**. მას ტაშს უკრავდნენ ესპანეთში, გერმანიაში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში გამართულ ბატუტისტთა საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის სამშობლოში არაერთი ნიჭიერი ბერძენი მოჭადრაკე აღიზარდა.

ჯერ კიდევ 1938 წლის 10 აგვისტოს გაზეთი „ფიზკულტურელი“ წერდა: „დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში რესპუბლიკურ პირველობაზე... პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს **თანიმანიდიმ** (ბათუმი) და ჩირაძემ (ქუთაისი), რომლებმაც 10 შესაძლებლიდან 8,5 ქულა შეაგროვეს, მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისელი **ლაპიდერი**“.

საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციასა და განვითარებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის ცნობილ მოჭადრაკეს, ოსტატობის კანდიდატს, შემდეგში სახელოვან მწვრთნელს **თენგიზ ხარლამპიდს**. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ხარლამპიდი ერთი პერიოდი მაია ჩიბურდანიძის მწვრთნელიც კი იყო.

პოპულარული მწვრთნელის აღზრდილია სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის, ქალებში კი საქართველოს 1979 წლის ჩემპიონი, დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული სპორტის ოსტატი თამილა მესხი.

თენგიზ ხარლამპიდის აღზრდილია აგრეთვე, სპორტის ოსტატი **ეკატერინე ფახიროვა** — საქართველოს 1989 წლის ჩემპიონი ქალთა შორის.

კიდევ ერთმა ბერძენმა მოჭადრაკემ **ნინო ხარლამპიდმა** ასახელა ამაგდარი მწვრთნელი, ნინო წლების მანძილზე წარმატებით ასპარეზობდა რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში. საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი იყო იუნიორთა შორის **იანის ნიკოლაიდი,** აჭარის მრავალგზის ჩემპიონი გახდა **ნიკოლაი კავაზისი** და სხვები.

საქართველოში ქალთა კალათბურთის განვითარების საქმეში დიდი როლი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **გერონტი ბაბახანიდის**. საკავშირო ტურნირებში ქართველი გოგონები მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ, რაც ამ ამაგდარი მწვრთნელის დამსახურება იყო.

1950 წელს ქართველმა გოგონებმა მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის წოდება ახალგაზრდებს შორის.

აჭარაში წლების მანძილზე, ჯერ როგორც სპორტსმენი, შემდეგ კი, როგორც პედაგოგი, საინტერესო მუშაობას ეწეოდა ცნობილი კალათბურთელი **კონსტანტინე მანვეა.** მისი შეგირდები **მარინა ლოგინოპულო, ანდრეი ილიოპულო** წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.

ქართული სპორტის ისტორიაში ბერძენი კალათბურთელები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ საქართველოს წარმომადგენლებს. ეს მოხდა 1969 წელს, როცა თბილისის დინამოელებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ათენში განიცადეს მარცხი ადგილობრივ „პანათინაიკოსთან“ 67:81. განმეორებით პაექრობაში თბილისში დინამოელებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს სტუმრები და გაიმარჯვეს 103:71, რითაც გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ.

სპორტის ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაში სინქრონულ ცურვაში **ქრისტინე ფალასანიდის** ხვდა დიდი პატივი, ერთ-ერთ პირველს, ჯერ საკავშირო, ხოლო შემდეგ საერთაშორისო სარბიელზე ესახელებინა საქართველო.

არაერთხელ უასპარეზიათ წარმატებით საქართველოს სახელით ბერძენ ძალოსნებს **ოლეგ კარაიანიდის, მიხაილოვ იორდანს, ალექსანდრე სეირანოვს, თედო მურუზიდის, ვალერი ლეონიდის, ოდისეი რომანიდის** და სხვებს.

საყურადღებოა ბერძენი მოფარიკავეების სპორტული მიღწევებიც. სახელოვანმა მწვრთნელმა, ბათუმელმა **ლარისა ფრანგულიდიმ** არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზარდა, მათ შორის თავისი ვაჟი **ანზორ ფრანგულიდი**. 1990 წელს ანზორმა კიევში საკავშირო ტურნირზე რაპირაში პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ იგი საცხოვრებლად საბერძნეთში გადასახლდა და ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატზე კვლავ ოქროს მედლები დაისაკუთრა.

როცა ტყვიით მსროლელ ბერძენ სპორტსმენებზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა აღნიშვნის ღირსია ქართული სპორტის ამაგდარი **ნიკოლოზ ფოტიადისი**. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის ტურნირში და 40 წლის ასაკში მიენიჭა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. ნიკოლოზ ფოტიადისი საქართველოში სასროლო სპორტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია.

გასული საუკუნის 50-იან წლებში საქვეყნოდ გაითქვა აგრეთვე სახელი **კლიმენტი ფოტიადისმა**. ხალხთა მე-5 სპარტაკიადაზე მან 300 შესაძლებლიდან 293 ქულით ოქროს მედალი დაისაკუთრა. კლიმენტის შვილებიც ტყვიის სროლის ოსტატები არიან. ასევე საყურადღებოა აჭარელი ტყვიის მსროლელების **ვლადიმერ კუსიდის, დიმიტრი ანასტასიადის** და სხვათა სპორტული მიღწევები.

სასახელო წარმატებები აქვთ მოპოვებული საქართველოში მცხოვრებ ბერძენ ძალოსნებს. ესენია ბათუმელი **ანატოლ აბადჟიდი, პეტრე ვარიადისი, მიხაილ პაპანდოპულო, მარია პახატერიდი, დიმიტრი იგნატიადი.**

ველოსპორტში საქვეყნოდ იყო ცნობილი სპორტის ოსტატ **ვლადიმერ პოპოვის** სპორტული შედეგები. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი წარმატებით ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატებსა და სხვა რანგის ტურნირებში. ასევე კარგად ასპარეზობდნენ წალკელი ბერძენი სპორტსმენები **ვ. ტანასოვი და ს. დატოვი,** აჭარის წარმომადგენლები **სტასიკ კუსიდისი, სტასიკ პაპაინიდი, ივანე კარაველიდი** და სხვ.

საცხენოსნო სპორტში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა სპორტის ოსტატ **კირიაკ გაშიბაიაზოვს,** რომელიც შემდეგ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. ამჟამად საბერძნეთშია. მისი აღზრდილები არიან საბჭოთა კავშირის და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონები და პრიზიორები: ვარლამ სიმონია, თამაზ ჯღარკავა, ვიტალი პალაეტიდი და სხვ.

1959 წელს სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის სპორტულ ღირსებას ი. გრამატიკოპულო იცავდა. სპორტის ოსტატებს **ნიკოლოზ ტრიანდალიდის, ვიოლეტა სემრატიდის, გიორგი ტიქტოპულოს, ვლადიმერ ასლანიდის** და სხვებს არაერთხელ უასპარეზიათ თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებში.

სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ფალავანთა დიდ კოჰორტაში საპატიო ადგილი უჭირავთ ჩვენში მცხოვრებ ბერძნებს.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **ფილარეტ ასლანიდიმ** თავისი სპორტული ცხოვრება ძალოსნობით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ჭიდაობამ გაიტაცა და ბოლომდე სპორტის ამ რაინდული სახეობის ერთგული მსახური დარჩა. მოლდოვას ათგზის ჩემპიონმა, სსრ კავშირის ორგზის პრიზიორმა, ჩეხოსლოვაკიის მსოფლიო უნივერსიადის ბრინჯაოს მედალოსანმა და მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულმა სახელოვანმა ფალავანმა სამუდამოდ დაამახსოვრა თავი სამბოს თუ ძიუდოს გულშემატკივრებს. სხვადასხვა რანგის ტურნირებში წარმატებით ასპარეზობდნენ ცნობილი ბერძენი ფალავნები, სპორტის ოსტატები: **პავლე სევასტოვი, აფანას სევასტოვი, გიორგი გოდანოვი, ივანე ლეონოვი, ვალერი ისაკიდისი, ნიკოს გარაჯლოვი, როლანდ მოსიევი, აბრამ აშოგოვი, ვლადიმერ ხაშიროვი, სპარტაკ იორდანოვი, ივანე ასლანიდი, მიხეილ შონესი, დიმიტრი სტეფანიდი, დიმიტრი ელენიადი, დიმიტრი საკულიდი, პეტრე სიმგულიადი, იორდან პაპანდოპულო, ნიკოლოზ კაკავიდი, კონსტანტინე კუსიდი, ივანე კელენიდი, საფრონ ჩილოკოვი, ივანე ჩემიჩევი და მრავალი სხვა.**

ქუთაისის მდიდარ სპორტულ ისტორიას ამშვენებს მრავალმხრივი სპორტსმენი და მწვრთნელი **დიმიტრი გიორგიადი.** სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული რიონისპირა ქალაქში წყალში ხტომის, თანამედროვე ხუთჭიდის და სინქრონული ცურვის ჩასახვა და განვითარება.

დროთა სწრაფ რბოლას ახალი სახელები მოაქვს. მოდის ნიჭიერი ბერძენი სპორტსმენების ახალი თაობა, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ წინაპართა მდიდარ სპორტულ ტრადიციებს.

ზურაბ ჯავახაძე.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ბუფონი: „იუვენტუსში“ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის კარიერის მწვერვალია“

ევროპის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „იუვენტუსმა“ მადრიდის „რეალი“ რომ ჩამოიშორა, ეს ტურინელთა გოლკიპერის ჯანლუიჯი ბუფონის დამსახურებაცაა. სხვათა შორის, უკანასკნელი ორი წელია, ბუფონი, უეფას სიმბოლურ ნაკრებში ხვდება, რაც კიდევ უფრო მიუთითებს მის საიმედოობაზე.

ჯანლუიჯი ბუფონი ტურინში 2001 წელს გადავიდა. ამ გოლკიპერში „ბებერმა ქალბატონმა“ 52 მილიონი ევრო გადაუხადა „პარმას“. სპეციალისტები მას მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევენ. „ასეთი აღიარებით ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს“, — ამბობს ბუფონი. მისი აზრით, მალე ახალი თაობის მეკარეები გამოჩნდებიან არენაზე. დღეისათვის „ყველაზე საუკეთესოდ მივიჩნევ ლონდონის „ჩელსის“ კარის დარაჯს პეტრ ჩეხს, აგრეთვე დიდას „მილანიდან“, იკერ კასილიასს მადრიდის „რეალიდან“, — ასეთ შეფასებას აძლევს ბუფონი თავის კოლეგებს.

„იუვენტუსის“ შემადგენლობაში ბუფონმა 2001-2002 და 2002-2003 წლების სეზონში „სკუდეტო“ მოიპოვა. იმ ორ ჩემპიონატში გუნდმა საკუთარ კარში შესაბამისად 23 და 29 გოლი მიიღო. 2002-2003 წლების სეზონში ტურინის „იუვენტუსი“ ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. ბუფონის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, „ბებერმა ქალბატონმა“ გადამწყვეტი მატჩი პენალტების სერიაში წააგო „მილანთან“.

დიდი წარმატებები ბუფონს საკუთარი „გოლკიპერული ფილოსოფიის“ ჩამოყალიბებაში დაეხმარა. აი, რას ამბობს ის: „როცა გუნდის თამაში იდეალურისგან შორს არის, ანდა, თვით გოლკიპერი ხშირად უშვებს შეცდომებს, არავითარ შემთხვევაში პანიკაში არ უნდა ჩავვარდეთ. გოლკიპერმა ყოველთვის უნდა დაანახვოს თავის თანაგუნდელებს, რომ ის ასი პროცენტით დარწმუნებულია საკუთარ ძალებში“.

ჯანლუიჯი ბუფონი 27 წლისაა, ის ფიქრობს, რომ კიდევ 10 წლის განმავლობაში ითამაშებს მაღალ დონეზე. გარდა ამისა, კარიერის შემდგომი გეგმაც დაუსახავს, — მწვრთნელობას აპირებს.

„როცა ბუცებს ლურსმანზე დავკიდებ, სიამოვნებით დავიწყებ მუშაობას მწვრთნელად. ეს ყოველთვის იყო ჩემი ფარული სურვილი“, — ეს ბუფონის სიტყვებია.

ჯერჯერობით ბუფონი „იუვენტუსიდან“ წასვლას არ გეგმავს. „მე იტალიელი ვარ და კარგად ვიცი, რომ „იუვენტუსის“ მაისურით თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისათვის არის კარიერის მწვერვალი. უკვე ოთხი წელია, ტურინში ვარ და „იუვენტუსში“ დარჩენა ჩემთვის, ვფიქრობ, საუკეთესო ვარიანტია“.

შესარჩევი მატჩების წინ

ცნობილია, რომ ხვალ გაიმართება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები. ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის, თუ რა დანაკლისებით ხვდებიან ევროპის ქვეყნების ნაკრებები ამ მნიშვნელოვან თამაშებს.

იტალიელებს შოტლანდიელებთან მატჩში დააკლდებათ ალესანდრო ნესტა, რომელიც ტრავმირებულია. ამ ფეხბურთელმა სამშაბათს ჯერ „მილანის“ვარჯიში გააცდინა, ხოლო მას შემდეგ, რაც ნაკრებში გამოიძახეს, — სამედიცინო შემოწმება გაიარა. ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და ნესტამაც იტალიის ნაკრების „ბანაკი“ დატოვა. სავარაუდოდ, მას მარკო მატერაცი („ინტერი“) შეცვლის. ნესტას შეუერთდნენ ტოტი და მონტელაც.

ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს თურქეთის ნაკრების მცველი სერვეტ ჩეგინი. ის ალბანელებთან და ქართველებთან დანიშნულ მატჩებს გამოტოვებს. ხორვატიის ნაკრებს ისლანდიელებთან და მალტელებთან მატჩებში დააკლდებათ ედუარდო და სილვა. ზაგრების „დინამოს“ 22 წლის ნახევარმცველს შეცვლის იტალიურ „ლეჩეში“ მოთამაშე საშა ბელანოვიჩი. მაკედონიის ნაკრებს შეცვლილი შემადგენლობით ათამაშებს ახალი მთავარი მწვრთნელი სლობოდან სანტრაჩი. რუმინელებთან მატჩისათვის მან გოლკიპერობა იორგან გეორგიევსკის ნაცვლად დაავალა გოგო იოვჩევს. შეტევის ხაზზე აკო სტოიკოვს „ფერენცვაროშის“ ფორვარდი ალექსანდრ ბაიევსკი შეცვლის.

ბელგიელთა მწვრთნელი ემე ანტუენისი იძულებული გახდა, ნაკრებში გამოეძახა „გენკის“ 23 წლის ნახევარმცველი ტომას შატელი და მისი თანაგუნდელი — 34 წლის გოლკიპერი იან მოონსი. ამის საჭიროება მოითხოვა უესლი სინკას, მბო მპენზასა და გოლკიპერ ფრედერიკ ერპოელის ტრავმებმა.

გთავაზობთ ევროპულ ზონაში სატურნირო მდგომარეობებსა და ხვალინდელი მატჩების განრიგს ევროპის ტოტალიზატორის „უილიამ-ჰილის“ კოეფიციენტებთან ერთად.

I ჯგუფი						
ჰოლანდია	4	3	1	0	10-3	10
რუმინეთი	5	3	1	1	10-5	10
ფინეთი	5	3	0	2	10-6	9
ჩეხეთი	4	3	0	1	6-2	9
მაკედონია	6	1	2	3	6-7	5
ანდორა	5	1	1	3	2-11	4
სომხეთი	5	0	1	4	2-12	1
II ჯგუფი						
უკრაინა	6	4	2	0	11-3	14
საბერძნეთი	5	2	2	1	7-5	8
დანია	5	1	3	1	7-6	6
თურქეთი	5	1	3	1	6-5	6
ალბანეთი	5	2	0	3	3-7	6
საქართველო	4	1	2	1	5-5	5
ყაზახეთი	4	0	0	4	2-10	0
III ჯგუფი						
პორტუგალია	5	4	1	0	20-3	13
სლოვაკეთი	4	3	1	0	15-3	10
რუსეთი	4	2	1	1	10-8	7
ლატვია	5	2	1	2	10-12	7
ესტონეთი	5	2	1	2	8-11	7
ლიხტენშტ.	5	1	1	3	8-14	4
ლუქსემბურგ.	6	0	0	6	4-24	0
IV ჯგუფი						
ირლანდია	4	2	2	0	6-1	8
საფრანგეთი	4	2	2	0	4-0	8
ისრაელი	4	2	2	0	6-4	8
შვეიცარია	3	1	2	0	9-3	5
კვიპროსი	5	0	1	4	4-11	1
ფარერები	4	0	1	3	2-12	1
V ჯგუფი						
იტალია	4	3	0	1	7-5	9
ნორვეგია	4	2	1	1	6-3	7
სლოვენია	4	2	1	1	4-3	7
ბელარუსი	3	1	1	1	8-5	4
შოტლანდია	3	0	2	1	1-2	2
მოლდოვა	4	0	1	3	1-9	1
VI ჯგუფი						
ინგლისი	4	3	1	0	7-3	10
პოლონეთი	4	3	0	1	10-5	9
ავსტრია	4	1	2	1	8-8	5
ჩრდ.ირლანდია	4	0	3	1	5-8	3
უელსი	4	0	2	2	5-8	2
აზერბაიჯანი	4	0	2	2	1-4	2
VII ჯგუფი						
სერბეთი	4	3	1	0	10-0	10
ესპანეთი	4	2	2	0	8-1	8
ლიტვა	4	2	2	0	6-1	8
ბოსნია	2	0	2	0	1-1	2
ბელგია	3	0	1	2	1-5	1
სან მარინო	5	0	0	5	0-18	0
VIII ჯგუფი						
შვედეთი	4	3	0	1	14-2	9
ბულგარეთი	3	2	1	0	9-4	7
ხორვატია	3	2	1	0	6-2	7
უნგრეთი	4	2	0	2	5-8	6
ისლანდია	4	0	1	3	4-10	1
მალტა	4	0	1	3	1-13	1

26 მარტი	1	X	2
სომხეთი — ანდორა	1,28	4,50	8,00
ინგლისი — ჩრ. ირლანდია	1,12	6,00	15.00
უელსი — ავსტრია	1,83	3,20	3,75
ბულგარეთი — შვედეთი	2,80	3,10	2,25
ჩეხეთი — ფინეთი	1,30	4,33	8,00
ესტონეთი — სლოვაკეთი	3,60	3,00	1,95
ლიხტენშტეინი — რუსეთი	15,00	8,00	1,07
ხორვატია — ისლანდია	1,25	4,50	10,00
პოლონეთი — აზერბაიჯანი	1,11	6,50	15,00
საქართველო — საბერძნეთი	3,75	3,20	1,83
ისრაელი — ირლანდია	2,80	3,20	2,20
რუმინეთი — ჰოლანდია	3,00	3,10	2,15
თურქეთი — ალბანეთი	1,25	4,50	10,00
დანია — ყაზახეთი	1,05	8,00	21,00
ბელგია — ბოსნია	1,61	3,30	5,00
იტალია — შოტლანდია	1,16	5,50	12,00
საფრანგეთი — შვეიცარია	1,28	4,50	8,00

დემიკელისი - „აღმოჩენა“ „ბაიერნისათვის“

მიუნხენის „ბაიერნის“ ბოლოდროინდელ წარმატებებს არგენტინელი ლეგიონერის მარტინ დემიკელისის ბრწყინვალე თამაშსაც უკავშირებენ. სპეციალისტების აზრით, სწორედ ამ ფეხბურთელმა შეძლო დენის ბერხკამპის ნეიტრალიზება ლონდონის „არსენალთან“ გამართულ მატჩებში, რამაც მაგათის გუნდს ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის საგზური მოაპოვებინა.

დემიკელისი არგენტინული „რივერ პლეიტიდან“ 2003 წელს გადავიდა მიუნხენის „ბაიერნში“. სადებიუტო სეზონში (ბუნდესლიგაში) მან თავის გამოჩენა ვერაფრით ვერ შეძლო. ხოლო მას შემდეგ, რაც „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ ლუსიო შეიძინა, დემიკელისის მომავალი ამ გუნდში, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მთავარმა მწვრთნელმა ის ჰავბეკად გადაიყვანა და დემიკელისიც სწორედ ამ ახალ პოზიციაზე „გაიხსნა“. „ბაიერნი“ იგებდა და იგებდა. „შალკესთან“ დამარცხებამდე გამართულ რვა მატჩში მიუნხენელებმა საკუთარ კარში მხოლოდ ორი ბურთი მიიღეს, და ეს სწორედ დემიკელისის დამსახურებაა, რომელიც მეტოქე გუნდის შეტევებს „ბაიერნის“ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან აჩერებდა. დემიკელისის გააქტიურებამ, რომ იტყვიან, „სიცოცხლე გაუხანგრძლივა“ ფლეიმეიკერ მიხაელ ბალაკს. ასე მაგალითად, ლონდონის „არსენალთან“ ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩის დროს დემიკელისი ბერხკამპის „საყვარელ“ თავისუფალ ზონებს კეტავდა, ამან კი ბალაკს თავისუფლად მოქმედების უფრო მეტი საშუალება მისცა. გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი აღტაცებას ვერ მალავს თავისი პარტნიორის, არგენტინელი ლეგიონერის კარგი თამაშის გამო. „ადრე უმეტესად დაცვით ფუნქციებს ვასრულებდი. როცა მე ტრავმირებული ვიყავი, ეს დემიკელისს დაავალეს. ის ბრწყინვალედ ათამაშდა. ახლა მე შემიძლია, ხშირად მივიღო მონაწილეობა გუნდის შეტევებში“, — ამბობს ბალაკი.

წინ როი მაკაი, დირიჟორის როლში — ბალაკი, დაცვაში — კოვაჩი და ლუსიო, კარში კი — ოლივერ კანი... ამ შემადგენლობით „ბაიერნი“ კარგად გამოიყურებოდა. მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა დემიკელისი დაამატა, ოლივერ კანის აზრით, გუნდი მზად არის ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

„წელს „ბაიერნი“ ბრწყინვალე ფორმაშია მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგაზე ჩამოვიცილეთ ლონდონის „არსენალი“, შეიძლება ითქვას, რომ ახლოს ვართ სანუკვარი ტიტულის მოპოვებასთან“ — ამბობს ოლივერ კანი.

ახალი სკანდალი?

იტალიურ ფეხბურთში კიდევ ერთი სადოპინგო სკანდალი მწიფდება. ცნობილია, რომ ამ ბოლო პერიოდში „იუვენტუსს“ ედავებიან 1994-1998 წლებში მოპოვებულ ტიტულებს იმ მოტივით, რომ გუნდის მაშინდელი ექიმი რიკარდო აგრიკოლა აკრძალულ პრეპარატებს აძლევდა ფეხბურთელებს. ამჯერად სკანდალმა „მილანის“ ფეხბურთელებს უწია. „რომასთან“ მატჩის შემდეგ კახი კალაძის თანაგუნდელებმა — გატუზომ და პანკარომ უარი თქვეს სადოპინგო ტესტის გავლაზე. ჟურნალისტებთან საუბარში გატუზომ აღნიშნა, რომ მას საკუთარი შარდის ანალიზი უნდა ჩაებარებინა ოთახში, სადაც მის გარდა 20-მდე ადამიანი იმყოფებოდა.

„მე უარი ვთქვი საჯაროდ ანალიზის მიცემაზე. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ვარ და არა ცხოველი“, — ამბობს გატუზო.

საინტერესოა, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში 120 ფეხბურთელს უნდა გაევლო დოპინგ-ტესტი. დაახლოებით ათმა პროცენტმა ტესტის გავლაზე უარი განაცხადა. ფეხბურთელები სარგებლობენ იმით, რომ იტალიაში ჯერ არ არის ძალაში შესული კანონი, რომელიც დასჯის დოპინგ-კონტროლზე უარის მთქმელ მოთამაშეებს.

იტალიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა სერხიო კამპანიმ განაცხადა, რომ გატუზოსა და პანკაროს საქციელი ნიშნავს იმას, რომ იტალიურ ფეხბურთში პრობლემები იწყება.

„მომავალი სეზონიდან დოპინგტესტის გავლა ყველასთვის სავალდებულო გახდება“, — ამბობს კამპანი.

ეს მე ვარ, სტოიჩკოვი

ტელეკომპანია „ევროსპორტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ბულგარული ფეხბურთის ლეგენდა ხრისტო სტოიჩკოვი, რომელიც დღეს თავისი ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, 90-იანი წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. საინტერესოა, რომ „ევროსპორტის“ გამოკითხვაში 900 ათასამდე

ადამიანი მონაწილეობდა. სტოიჩკოვმა ხმების საერთო რაოდენობის 58 პროცენტი მიიღო და გადაუსწრო რუმინელ გეორგე ჰაჯის.

ხრისტო სტოიჩკოვი 1992 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ორი წლის შემდეგ კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. 5-ჯერ იყო ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელი (1989-1992, 1994), ორჯერ მიიღო „ოქროს ბუცი“ (1990 და 1999).

სტოიჩკოვი დაიბადა ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში, მამამისი კლუბ „მარიცას“ გოლკიპერი იყო და ამ გარემოებამ გადაწყვიტა პატარა ხრისტოს მომავალი. ის ჯერ ბურთებს აწვდიდა მოედანზე მოთამაშეებს, 1984 წლიდან კი თავადაც დაიწყო ფეხბურთის თამაში ჯერ ბულგარულ კლუბში „ჰებარში“, შემდეგ სოფიის ცსკა-ში მიიწვიეს, რომელთან ერთადაც მოიგო ბულგარეთის ჩემპიონის ტიტული და თასი. ასე დაიწყო სტოიჩკოვის თავბრუდამხვევი წარმატებების სერია, რომელიც გრძელდებოდა ესპანეთის „ბარსელონას“ შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვებამდე. სტოიჩკოვი ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობაშიც ბრწყინავდა. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ბულგარეთის ნაკრებმა მანამდე არნახულ წარმატებას მიაღწია — ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა და ამაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა „კონცერტის დირიჟორად“ წოდებულ ხრისტო სტოიჩკოვს.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ხრისტო სტოიჩკოვი სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ემზადება დღეს ბულგარეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ხვალინდელი შესარჩევი მატჩისათვის — 26 მარტს სტოიჩკოვის გუნდი სოფიაში მასპინძლობს შვედეთის გუნდს. გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ ხრისტო სტოიჩკოვი გაიმეორებს 11 წლის წინანდელ წარმატებას მწვრთნელის ამპლუაში.

დასასრულ, სტოიჩკოვმა წარმოადგინა საკუთარი წიგნი-ალბომი, რომელშიც ფოტოსურათებითაა ასახული თავისი კარიერა. წიგნის სახელწოდებაა — „ეს მე ვარ, სტოიჩკოვი“.

ტიტულის მოლოდინში

„ლივერპულის“ ყოფილი მწვრთნელი გრემ სუნიესი ნიუკასლში შეიყვარეს. ამ სპეციალისტმა ლეგენდარული ბობი რობსონისგან ჩაიბარა საფეხბურთო კლუბი „ნიუკასლი“ და ხმაურიანმა გამარჯვებებმა ის პოპულარული გახადა.

ყველაფერი დაიწყო უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში ჰოლანდიური „ჰეერენვენის“ დამარცხებით. ეს რომ არ გაეკეთებინა, სუნიესი დღეს შეიძლება უმუშევარი ყოფილიყო. ჰოლანდიურ კლუბთან წარმატება სუნიესის კარიერაში ისეთივე გადამწყვეტი მომენტი იყო, როგორც თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონისათვის 1990 წელს ინგლისის თასზე „ნოტინგემ ფორესტის“ დამარცხება. ისევე, როგორც უეფას თასზე, ინგლისის თასის წლევანდელ გათამაშებაშიც წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას „ნიუკასლის“ ფეხბურთელები. მათ უკვე შეძლეს ისეთი გუნდების ჩამოშორება, როგორიცაა „ჩელსი“, „ტოტენჰემი“. სუნიესსა და მის შეგირდებს აპრილში ელით ნახევარფინალური მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

და მაინც, წლევანდელ სეზონში მთავარი ის არის, რომ „ნიუკასლს“ უეფას თასის მოპოვების რეალური შანსი აქვს. ალან შირერმა და კამპანიამ „ჰერენვენს“ კვალში გაუყვნეს „ოლიმპიაკოსი“ და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ასე რომ, „ნიუკასლი“, რომელსაც უკანასკნელი 39 წლის განმავლობაში ერთი ტიტულიც არ მოუგია, წელს ახლოს არის მიზანთან — დაარღვიოს ეს არასასიამოვნო ტრადიცია.

„დღეს „ნიუკასლს“ დიდი დრო უდგას. ყოველი თამაშისათვის მონდომებით ვემზადებით. ვიმედოვნებ, რომ ერთ ტიტულს მაინც მოვიპოვებთ“, — ამბობს სუნიესი.

„ნიუკასლის“ წარმატება განსაკუთრებით ახარებს გუნდის კაპიტანს ალან შირერს. მას მიმდინარე სეზონში უკვე 18 გოლი აქვს გატანილი. კიდევ 9 გოლიც და გაიმეორებს ჯეკი მილბერნის მიერ დამყარებულ კლუბის რეკორდს (200 გოლი). ალან შირერი სეზონის ბოლოს დიდი ფეხბურთიდან წასვლას აპირებს და ცხადია, სურს ეს ნაბიჯი რომელიმე ტიტულის მფლობელის როლში გადადგას.

ნბა

აღმოსავლეთში — „მაიამი", დასავლეთში — „ფინიქსი"

ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი მატჩები გაიმართა. ოთხშაბათს „ფინიქსმა" სტუმრად 105:94 დაამარცხა „ატლანტა". მოედანზე ბრწყინავდა სტაუდმაიერი, რომელმაც სტუმართა გუნდს 40 ქულა შესძინა.

კობი ბრაიანტის ბრწყინვალე თამაშმა ვერ უშველა „ლეიკერსს" გასვლით მატჩში „იუტასთან" — 107:115. აღსანიშნავია, რომ ბრაიანტმა 43 ქულა შესძინა „ლეიკერსს". სტუმრები მეოთხე პერიოდის წინ 6 ქულით იგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტი 12 წუთი ცუდად ჩაატარეს.

შაკილ ო'ნილის (23 ქულა) „მაიამი" სტუმრად 2 ქულის სხვაობით დამარცხდა „ჰიუსტონთან" — 82:84. ვერც ზაზა ფაჩულიას „მილუოკმა" იხეირა — გუნდმა 84:92 წააგო „სიეტლთან".

სხვა მატჩები: „კლივლენდი" — „დეტროიტი" 91:76, „საკრამენტო" — „პორტლენდი" 112:93.

გუშინ კიდევ რამდენიმე შეხვედრა შედგა. „ფინიქსმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად აუტსაიდერ „შარლოტასთან" — 120:105. „ფინიქსის" ლიდერის სტაუდმაიერის ანგარიშზე ამჯერად 23 ქულაა.

ისევ დამარცხდა „მილუოკი", ამჯერად „კლიპერსთან" — 108:116.

საინტერესო გამოდგა „გოლდენ სტეიტსა" და „დალასს" შორის გამართული შეხვედრა. სტუმრებმა 109:97 იმარჯვეს. „დალასის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო დირკ ნოვიცკი, რომელმაც 29 ქულა დააგროვა, 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 2 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

სხვა მატჩები: „მინესოტა" — „ნიუ იორლეანი" 104:91, „ფილადელფია" — „დეტროიტი" 107:84, „ნიუ-იორკი" — „ბოსტონი" 107:82, „ტორონტო" — „ჩიკაგო" 85:94, „ინდიანა" — „სან ანტონიო" 100:93.

აღმოსავლეთ კონფერენციაში ყველაზე მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული „მაიამის" — 52. 42 მოგებაა „დეტროიტის" ანგარიშზე.

დასავლეთ კონფერენციაში გამარჯვებათა რაოდენობით ლიდერობს „ფინიქსი" — 51, ერთი მოგებით ნაკლები აქვს მოპოვებული „სან ანტონიოს".

რეჯი მილერის 25 000 ქულა

ნბა-ს კლუბ „ინდიანას" მცველმა რეჯი მილერმა „სან ანტონიოსთან" მატჩში თავის კარიერაში დაგროვილ ქულათა რაოდენობით 25000-იან ზღვარს გადააბიჯა. გარდა ამისა, მილერს კიდევ ერთი უნიკალური მიღწევაც აქვს — მას მოედანზე 47 ათას წუთზე მეტი აქვს გატარებული. სულ მან 18 სეზონი გაატარა ნბა-ში და მხოლოდ ერთი გუნდის — „ინდიანას" ღირსებას იცავს.

მიხაელ შუმახერის იმედი

„ფორმულა-1"-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა კმაყოფილება გამოთქვა „ფერარის" ახალი ბოლიდის მონაცემებით. მანქანის დებიუტი 3 აპრილს, ბაჰრეინში შედგება. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონის პირველ ორ ეტაპზე მიხაელ შუმახერმა არცთუ კარგი შედეგები აჩვენა ძველი ბოლიდით. შუმახერი იმედოვნებს, რომ ახალი ბოლიდით ძველ ადგილს დაიბრუნებს.

უილიამსი: „ვებერი გრან პრის მოსაგებად მზად არის"

„ფორმულა-1"-ის გუნდ „უილიამსის" მფლობელმა ფრენკ უილიამსმა განაცხადა, რომ მის პილოტს მარკ ვებერს შესწევს ძალა გრან პრის მოსაგებად. „ჩვენ შევძელით, რომ „უილიამსის" ბოლიდის ტექნიკური მონაცემები კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა. მარკს შეუძლია გამარჯვების მოპოვება და ამაში მანქანაც კარგად დაეხმარება" — ამბობს უილიამსი. მან საქებარი სიტყვები არც გუნდის მეორე პილოტისათვის ნიკ ჰაიდფელდისათვის დაუშურებია: „ის ძალიან კარგი პილოტია. ბოლო პერიოდში ძალიან კარგად ასპარეზობს, მაგრამ თავადაც კარგად ესმის, რომ კიდევ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო"

კლიისტერსი და ენენ-არდენი ბელგიის ნაკრებში არ ითამაშებენ

კლიისტერსი

ბელგიის ჩოგბურთელთა ნაკრების ლიდერებმა კიმ კლიისტერსმა და ჟასტინ ენენ-არდენმა უარი განაცხადეს ფედერაციის თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობაზე. ჩოგბურთელთა მხრიდან ნაკრების ღირსების დაცვაზე უარის თქმის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია, რომ ერთი თვის შემდეგ, 23-24 აპრილს შედგება ფედერაციის თასის პირველი წრის მატჩები. ბელგიელები სტუმრად ეთამაშებიან ამერიკელებს. ცხადია, კლიისტერსისა და ენენ-არდენის არყოფნის შემთხვევაში ბელგიის ნაკრებს წარმატების შანსი აღარ აქვთ.

ლიუისი ყოფილ პრომოუტერს სახლს გაუყიდის

ინგლისის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ლენოქს ლიუისის სარჩელთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი თავის ყოფილ პრომოუტერს, პანოს ელიადესს ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებდა და მისგან კომპენსაციას მოითხოვდა. ელიადესმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და ლიუისს თითქოსდა არავითარი კომპენსაცია არ უნდა მიეღო, მაგრამ როგორც ძიებამ დაადგინა, ელიადესს ჰქონია საკუთარი სახლი ქალაქ ენფილდში. სახლი შეფასებულია 3,8 მილიონ დოლარად. თვით ელიადესი ამტკიცებდა, რომ ეს სახლი ეკუთვნის მის ნათესავს, მაგრამ, სასამართლომ დაამტკიცა, რომ სახლი პრომოუტერის მფლობელობაშია. ახლა ლიუისს აქვს უფლება, ხსენებული შენობის გაყიდვით მიიღოს კომპენსაცია.

ისტორიის ერთი დღე

25 მარტი. ამ დღეს დაიბადნენ:

1926 — უნგრელი ლეგენდარული მოკრივე **ლასლო პაპი** — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

1945 — **ივან ედეშკო** — რუსი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

1953 — არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავი **დანიელ პასარელა**, რომელიც 1978 წელს თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1965 — ბულგარელი მძლეოსანი **სტეფკა კოსტადინოვა**, მსოფლიო ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში.

1971 — **სტეისი დრაგილა**, — ამერიკელი მძლეოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში.

1976 — უკრაინელი მოკრივე **ვლადიმირ კლიჩკო**. 20 წლისამ ატლანტაში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა. ამჟამად პროფესიულ რინგზე გამოდის. ვლადიმირი ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ვიტალი კლიჩკოს ძმაა.

მოვლენა

1668 — ამერიკაში გაიმართა პირველი დოღი.

1876 — უელსის ნაკრებმა პირველი მატჩი ჩაატარა.

1916 — აშშ-ში ქალებს მისცეს მოკრივეთა ორთაბრძოლებზე დასწრების უფლება.

26 მარტი. მოვლენა

1960 — უეფას კონგრესმა დააწესა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება. ეს თასი 1981 წელს **თბილისის „დინამომ"** მოიპოვა.

1992 — **მაიკ ტაისონს** 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

27 მარტი. ამ დღეს დაიბადნენ:

1971 — **დევიდ კულტჰარდი** — „ფორმულა-1"-ის პილოტი.

1972 — **ჯიმი ჰასელბენკი**, — ლონდონის „ჩელსის" ფორვარდი.

მოვლენა:

1966 წ. — პატარა ფინიამ ბუჩქებში იპოვა მოპარული ფეხბურთში მსოფლიო თასი — „ოქროს ქალღმერთი".

1998 — ატლანტაში დამყარდა საკალათბურთო მატჩზე დასწრების რეკორდი. „ატლანტა" — „ჩიკაგოს" შეხვედრას დაესწრო 62.046 მაყურებელი.

ფიშერი გაათავისუფლეს

გუშინ დილით მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში ბობი ფიშერი გაათავისუფლეს იაპონიის სამართალდამცავებმა. ქალაქ უსიკას პოლიციის წინასწარდაკავების იზოლატორიდან გამოსულმა ფიშერმა პირდაპირ აეროპორტს მიაშურა და ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გაემგზავრა. შეგახსენებთ, რომ ისლანდიის ხელისუფლებამ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მისცა ფიშერს.



გამგზავრების წინ, ტოკიოს აეროპორტში ფიშერმა პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს და იაპონიის პრემიერმინისტრს ძიუნიტირო კოიძუმის დამნაშავეები უწოდა. „როცა ორი ყოვლისშემძლე ადამიანი კანონს უარყოფს, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება დააპატიმრონ და დაადანაშაულონ ყოველგვარი ძიების გარეშე." — თქვა ბობი ფიშერმა.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



25 მარტი, პარასკევი

НТВ плюс футбол. თავისუფალი დარტყმა (12.00, 15.50, 18.40). მინიფეხბურთი. უეფას თასი. მე-2 რაუნდი. ესპანეთის „ელ პოსო" — რუსეთის „დინამო" (12.20), „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (13.35). განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (14.05). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.35). „ფუტბოლ მუნდიალი" (19.00). საფეხბურთო კლუბი (19.30). იტალიის ჩემპიონატი. „რომა" — „მილანი" (20.10). ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი. მერვედფინალი. ესპანეთის „რეალი" — იტალიის „იუვენტუსი" (21.55). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.05). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.00, 6.00, 6.30) — „ლოს ანჯელეს კლიპერსი" — „ვაშინგტონ ვიზარდსი". პირდაპირი ტრანსლაცია. *НТВ плюс спорт.* „ატრ"-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (11.30). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (12.00). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (13.30). ტაილანდური კრივი (15.00). „ყველაზე ღონიერი ადამიანი" ბაჰამის კუნძულებზე (19.30). სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი (22.45). სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი (0.15). EUROSPORT. ველოსპორტი. სატრეკო ჩემპიონატი. აშშ (11.00). ფეხბურთი. მსოფლიო თასი. გერმანია (14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.30). ყველაზე ძლიერი ადამიანები. სუპერსერია. გრანპრი (23.00). ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (1.30). ველოსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15).

26 მარტი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.20). იმედი. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურის მატჩი: საქართველო — საბერძნეთი (20.15, I-II ტაიმი, პირდაპირი რეპორტაჟი) (20.30). **რუსეთის 1-ლი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ლიხტენშტეინის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (19.10). *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.25, 19.45). ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. ესპანეთის „ბარსელონა" — ინგლისის „ჩელსი" (12.15). მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო" — მოსკოვის „სპარტაკი" (14.55). განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (17.10). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. რუმინეთი — ჰოლანდია (18.45), ინგლისი — ჩრდილოეთ ირლანდია (20.55), ბოლივია — არგენტინა (22.55). თავისუფალი დარტყმა (0.50). კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 7.30). *НТВ плюс спорт.* ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (10.25). „ყველაზე ძლიერი ადამიანი ბაჰამის კუნძულებზე" (12.30). ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი. პირამიდა (13.45). „სპორტული გლობუსი" (15.45). ფარიკაობა. მსოფლიო თასის ეტაპი. ვაჟები, ქალები (17.25). ფიგურული ციგურაობა. კრისტი იამაგუჩის შოუ (19.20). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი: „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" — „ვაშინგტონ ვიზარდსი" (20.40). სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი (23.10). ბრძოლა წესების გარეშე (0.30). EUROSPORT. ველოსპორტი. ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (11.00). საერთაშორისო შეჯიბრება „კრიტერიუმი" (17.30). ფეხბურთი. მსოფლიო თასი. გერმანია (15.30, 23.00, 1.00). კრივი. პროფესიონალები (22.00). ევროსპორტის ახალი ამბები (3.30). საბრძოლო ხელოვნების ოსტატები — სუპერლიგა (3.45).

27 მარტი, კვირა

რუსეთის 1-ლი არხი. კრივი. ბრძოლა უძლიერეს პროფესიონალთა შორის: ვახტანგ დარჩიანი — აირინ პაჩეკო (0.00). *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.20, 20.05, 0.50). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: რუმინეთი — ჰოლანდია (12.15). მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (14.55). მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ინგლისი — ჩრდილოეთ ირლანდია (16.35), ბოლივია — არგენტინა (18.20), შვეიცარია — საფრანგეთი (21.15). ბრაზილია — პერუ (22.55). „ფუტბოლ მუნდიალი" (20.55). კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 5.00, 7.30, 8.00). *НТВ плюс спорт.* სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი (10.25). „საჭადრაკო მიმოხილვა" (12.30). ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი პირამიდაში (13.15). „დიდი რინგი" (19.00). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „დეტროიტ პისტონსი" — „ბოსტონ სელტიკსი" (21.30). ტაილანდური კრივი (0.15). EUROSPORT. ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (11.30). ველოსპორტი. ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (12.00). ფეხბურთი. მსოფლიო თასი. გერმანია (15.00, 16.00, 17.00, 18.00, 21.00). კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. შოტლანდია (0.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00).

კროსვორდი

თარაზულად: 3. ელექტრონული ინფორმაციის მოწყობილობა დიდ სპორტულ ბაზებზე, 5. ცნობილი ვეტერანი ვაჟი მოჭადრაკე, 8. ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი, 10. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ ... 11. რბენა ყველაზე გრძელ მანძილზე, 12. ჰოკეის ბურთი, 14. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 17. შეჯიბრება მცირე ზომის მანქანებით (კარტებით), 18. სპორტის სახეობა იალქნიანი ნავებით, 20. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი-მეკარე, 22. სპორტული შედეგების აღნუსხვის ერთ-ერთი კომპონენტი, 23. ზამთრის მომავალი ოლიმპიადის (2006 წ.) მასპინძელი ქალაქი, 24. იაპონიის ტანვარჯიშის ლეგენდა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1968) ვაჟების მრავალჭიდში, 25. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი 1982-83 წლებში, გიორგი ...

შვეულად: 1. ცნობილი ჩოგბურთელი ვაჟი (აშშ), 2. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 3. „რომას" ცნობილი ფეხბურთელი, 4. წარსულში ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი, ანდრეი... 5. გრძელ მანძილზე მორბენალი, 6. ასპარეზობის, სპექტაკლის წინასწარ აფიშირება, 7. ბილიარდის ჯოხი, 9. საჭადრაკო დაცვის ერთ-ერთი ვარიანტის სახელწოდება, 13. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 14. რუსთავის საფეხბურთო კლუბის ერთ-ერთი ადრინდელი სახელწოდება, 15. სენაკის ყოფილი საფეხბურთო გუნდის სახელი, 16. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 19. ვეტერანი საბჭოთა ფეხბურთელი, ნაკრების კაპიტანი, 21. იაპონიის პირველი ოლ. ჩემპიონი ვაჟი (1956) ტანვარჯიშში.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. „ვისლა", 3. „ლუკა", 5. ტალტსი, 8. გარი, 10. კალა, 11. შორტი, 12. რეიტინგი, 14. „ტოტენჰემი", 16. „ფილადელფია", 18. ქუნი, 20. შხარა, 23. „დეპორტივო", 25. კოსტავა, 26. ლაზიერი, 30 ამანათი, 31. ლიპი, 32. ნიკე, 33. გო, 34. ილინი, 35. აჭარა.

შვეულად: 2. „სპარტა", 3. ლასკერი, 4. კოშკი, 5. ტოტე, 6. „ტიროლი", 7. ისინდი, 9. რაგბი, 13. ეტო'ო, 15. „ნიუკასლი", 16. ფორტუნა, 17. ლახტი, 19. კოლინა, 21. ანი, 22. „ოსერი", 24. პრალა, 25. კუცი, 27. ზიკო, 28. როგი, 29. „აია".

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

№21-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ეf3!

1. ..... ed 2. ლ:f4X, 1. ..... მd5 2. კd3X, 1. ..... მ-- 2. ლ:c6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com